სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 15 ივლისი 2006 №161 (2783) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკარე? აქტუალური საკითხავი, აი, ეს არის

საშა საშურია



ალექსანდრე ჩიხრაძე დილემის წინაშე

რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე, ვინც ამჟამად ნალჩიკის „სპარტაკში“ თამაშობს, ხვალ თბილისში უნდა ჩამოსულიყო და ყველა ის საბუთი გაეფორმებინა, რომლებიც მას საქართველოსა და რუსეთის ორმაგ მოქალაქეობას უზრუნველყოფდა და მომავალში საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლებას მისცემდა. მაგრამ, ჩანს, ეს საქმე გადაიდო, ჩიხრაძეს არ აქვს იმის გარანტია, რომ მას ორმაგი მოქალაქეობის სტატუსი ექნება და...

— მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა რომ მივიღო, ბევრი პრობლემა შემექმნება, ბევრი კი არა, თითქმის ყველაფერს დავკარგავ. დავკარგავ ხელფასს, დავკარგავ საპენსიო უზრუნველყოფას, დავკარგავ სხვადასხვა შეღავათებს, კლუბში ჩავითვლები ლეგიონერად და, შესაძლოა, გამიშვან კიდეც — გვითხრა ალექსანდრე ჩიხრაძემ, ვისაც გუშინ ნალჩიკში დავუკავშირდით და ეს ახალი ამბები გავიგეთ.

— საქართველოს მოქალაქეობის მიღების თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ბოლოს როდის დაგიკავშირდნენ?

— დაახლოებით ერთი კვირის წინ. შევთანხმდით კიდეც, რომ 16 იულისს თბილისში ჩამოვიდოდი და შესაბამის საბუთებს გავაფორმებდი, მაგრამ...

— მაგრამ?

— როცა კლუბის ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩავაყენე, მათ ჩემი საკითხის გარკვევა „სპარტაკის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელს დაავალეს. მან კი რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის საემიგრაციო სამსახურიდან მოიტანა ამბავი, რუსეთსა და საქართველოს არ აქვთ ორმაგ მოქალაქეობაზე შეთანხმებაო. ჩავთვალე, ჩემი საქმე ამით დამთავრდა-მეთქი. მაგრამ მერე „სპარტაკის“ ხელმძღვანელობამ მითხრა, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყველა იმ საბუთს გამოგზავნის და დაგვარწმუნებს, რომ საშა ჩიხრაძე საქართველოს მოქალაქესთან ერთად რუსეთის მოქალაქედ დარჩება, ჩვენ ყველანაირად ხელს შეგიწყობთო. გესმით, „სპარტაკს“ არ სურს, რომ ჩემი სახით კიდევ ერთი ლეგიონერი ჰყავდეს და თავადაც წინააღმდეგი ვარ, რუსეთის მოქალაქეობა დავთმო და საქართველოსი მივიღო. ამით ძალიან ბევრი პრობლემა შემექმნება.

— ფედერაციამ ის საბუთები არ გამოაგზავნა?

— გამოაგზავნა, როგორ არა, ოღონდ მხოლოდ ერთი საბუთი, სადაც ეწერა, რომ ჩემი თანხმობის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის სტატუსი გარანტირებული მექნებოდა. „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა კი მხოლოდ ამ ქაღალდმა არ დააკმაყოფილა. ამათ სურთ, დარწმუნდნენ, რომ ჩემი გაქართველება ავტომატურად არ გამოიწვევს რუსეთის მოქალაქეობის დაკარგვას.

— ამ საბუთების გამოგზავნა 16-მდე აღარ მოესწრება?

— შეიძლება მოესწროს, მაგრამ არა მგონია. არადა, „სპარტაკის“ ხელმძღვანელობასთან უკვე შეთანხმებული ვიყავი, რომ სტუმრად „სატურნთან“ შაბათის მატჩის შემდეგ თბილისში უნდა წამოვსულიყავი. მათ კი ორი დღით გამთავისუფლეს და ბილეთიც დაჯავშნული მქონდა.

— თბილისში საბუთების გაფორმება რას მოგცემთ?

— ვფიქრობდი, რომ ორმაგი მოქალაქის სტატუსს მივიღებდი. „სპარტაკში“ ლეგიონერად არ ჩავითვლებოდი, ამავდროულად კი საქართველოს ნაკრებში ვითამაშებდი.

— ხომ არ გადაიფიქრე?

— არა, რატომ უნდა გადავიფიქრო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საქართველოდან დამიკავშირდნენ და თავადაც დიდი სურვილი მაქვს, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო.

— როგორ ფიქრობ, ეს საქმე ჩაიშალა?

— არ ჩაშლილა, მაგრამ, მგონი, უახლოეს დღეებში ამ საქმიდან არაფერი გამოვა. როგორც კი ნალჩიკის „სპარტაკი“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან შესაბამის საბუთებს მიიღებს, თბილისში მეორე დღესვე წამოვალ.

— უფრო ზუსტად, რა საბუთებს ითხოვს „სპარტაკი“?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. რუსეთისა და, მით უმეტეს, საქართველოს საემიგრაციო კანონებში ვერ ვერკვევი. ფეხბურთის ფედერაციაში ამას უკეთ გეტყვიან.

— გჯერა, რომ ეს საქმე გამოვა?

— მჯერა, როგორ არა. მეტიც, დარწმუნებული ვარ, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა, რომ ორმაგი მოქალაქეობა მივიღო, საამისო საბუთებს ერთ დღეში გააკეთებენ.

— საბუთების გარდა პრობლემა არაფერია?

— არაფერი. საშა ჩიხრაძეს ძალიან სურს, რომ საქართველოს ნაკრებში ითამაშოს. ამით ბედნიერი ვიქნები...

მაშ, მოდით, გაუხერხეთ ალექსანდრე ჩიხრაძეს ორმაგი მოქალაქეობა. თუ, მაგალითად, ეს შეიძლება მოჭიდაველებისთვის და სხვა სპორტსმენებისთვის, რატომ არ შეიძლება ფეხბურთელისთვის?! მით უმეტეს, როცა საქართველოს ნაკრებს რა ხანია, მეკარის პრობლემა აქვს და ერთი ხანობა გერმანელის გაქართველებაზეც კი ვსაუბრობდით?! ალექსანდრე ჩიხრაძე კი ქართველია, რუსეთის მოქალაქე და ეგებ გამოგვადგეს?! სულ მალე ევროშესარჩევი იწყება.

კოგა ინასარიძე



ლუჩანო მოჯი



ადრიანო გალიანი



კლაუდიო ლოტიტო

კრაახ!

იუვენტუსს, ფიორენტინას და ლაციოს ყურრი და სერია A აპარიეს

იტალიურმა სამართალმა პირი მთავარმსაჯულ ჩეზარე რუპერტოს პირით ჭამა

ნუ იქნები კორუფციანი, იყავ კარაბინ-ერი

მაშ ასე, გუშინ რომში დასრულდა სასამართლო, რომელმაც დამნაშავეებს განაჩენი გამოუტანა.

„იუვენტუსს“ ჩამოართვეს ბოლო ორი სეზონის (2004-05 და 2005-2006) ჩემპიონის ტიტული, ჩააბრძანეს სერია B-ში და მომავალ სეზონს მინუს 30 ქულით დაიწყებს. „იუვეს“ შეფებს — ლუჩანო მოჯის და ანტონიო ჯირაუდოს 5 წლით აეკრძალათ ფეხბურთში საქმიანობა.

„მილანი“ დატოვეს სერია A-ში, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, რადგან შარშანდელი მონაგრიდან 44 ქულა ჩამოაფცქვნეს, მომდევნო სეზონს კი მინუს 15 ქულით შეხვდება. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალინის ერთი წლით აუკრძალეს ფეხბურთში ხელის ფათური.

„ფიორენტინა“ გააგზავნეს სერია B-ში და ჩემპიონატს მინუს 12-ით შეეგებება — კლუბის პრეზიდენტი ანდრეა დელა ვალე კი სამწლიანხევრით მოკვეთეს ფეხბურთიდან. სპატიო პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე ოთხი წლით და 30 ათასი ევროთი დაჯარიმეს.

„ლაციოს“ სერია B-ში უკრეს თავი, სეზონს მინუს 7 ქულით დაიწყებს, ხოლო პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს სამწლიანი დისკვალიფიკაცია და 40 ათასი ევრო გამოუწერეს.

ოთხნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია გაუშანშალეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ფრანკო კარაროს, ვიცე-პრეზიდენტ ინორენცო მაკინის კი — ხუთწლიანი. დასჯეს მსაჯებიც: მასიმო დე სანტისი (4 წელი და 6 თვე), პაოლო დონდარინი (3 წელი და 6 თვე), ჯანლუკა პაპარესტა (3 თვე).

„იუვენტუსის“ „ფიორენტინას“ და „ლაციოს“ ნაცვლად სერია A-ში „მესინა“, „ლეჩე“ და „ტრევიზო“ ითამაშებენ, რომლებიც წინა სეზონში ჩაქვეითდნენ სერია B-ში.

რაკი „იუვე“, „ფიორენტინა“ და „მილანი“ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობნენ, მათ ადგილებს „რომა“, „პალერმო“ და „კიევი“ დაიკავებენ. „ინტერი“ „რომასთან“ ერთად ჯგუფური ეტაპიდან დაიწყებს, „პალერმო“ და „კიევი“ კი საკვალიფიკაციოს შეეჭიდებიან.

დასჯილ კლუბებს გასაჩივრებისთვის სამი დღე მისცეს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ 25 ივლისისთვის დაზუსტებით უნდა მოახსენოს უეფას, რომელი გუნდები ითამაშებენ ევროთასებზე.

ქართველებმა დეტმანთან ისევ წააგეს

გუშინ ლისაბონში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები B დივიზიონიდან A-ში ასანაცვლებელ საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაება. მარცხიანი გამოვიდა დებიუტი — დავით უსტიაშვილის გუნდმა 81:87 დათმო ფინელ თანატოლებთან, რომელთაც ფინეთის დიდი ნაკრების ჩვენთვის ასე კარგად თუ ცუდად ნაცნობი ჰენრიკ დეტმანი წვრთნის.

ქართველ ახალგაზრდები დღეს და ხვალ ისლანდიას და ჰოლანდიას ხვდებიან და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ორივე შეხვედრის მოგება სჭირდებათ.

რევაზ არველაძე, გოგი ქავთარაძე და მიხო ქოჩაკიძე

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა — გოგი ქავთარაძემ და რევაზ არველაძემ პრესკონფერენცია მოაწყვეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბთან დაკავშირებით.

ქავთარაძემ გვამცნო, რომ ფან-კლუბში უკვე 18 ათასი გულშემატკივარია გაწევრიანებული და ფედერაცია აპირებს, ამ პროცესში მხოლოდ დედაქალაქი კი არა, მთელი საქართველო ჩართოს. უკვე არის დაინტერესება აჭარიდან და სამცხე-ჯავახეთიდან, ფან-კლუბში გაწევრიანებისთვის დახმარებას ითხოვს საინგილოს და ლიახვის ხეობის მოსახლეობაც. ქავთარაძემ გვითხრა, რომ ყველაფერმა ამან პოლიტიკური დატვირთვაც მიიღო და ფან-კლუბის მხრივაც ფედერაციას სამუშაო ბევრი აქვს.

არ არსებობს ფან-კლუბი პრივილეგიების გარეშე და შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ეს საკითხი უკვე ბოლომდე შეიმუშავა და გულშემატკივარს რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს.

ფან-კლუბი მასში გაწევრიანებულ გულშემატკივარს სამნაირ პაკეტს სთავაზობს — პლატინიუმი, ოქრო და ვერცხლი. პაკეტის ნაირსახეობის მიხედვით გაიცემა საიდენტიფიკაციო ბარათები.

ამ ბარათების ვადა ერთი სეზონია — ანუ ის მოქმედებს ახალი შესარჩევი ციკლის პერიოდში. თუ რა პრივილეგიებია გათვალისწინებული ამ ბარათის მფლობელისთვის, ქვემოთ გაეცნობით.

ფან-კლუბის პარტნიორი „საქართველოს ბანკი“ გახდა. ქომაგს „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ სერვის-ცენტრში შეუძლია მისთვის სასურველი საიდენტიფიკაციო ბარათის შეძენა შესაბამისი წლიური საწევრო თანხის გადახდით. „საქართველოს ბანკი“ ფან-კლუბში გაწევრიანებულ გულშემატკივარს უსასყიდლოდ შესთავაზებს უნივერსალური ანგარიშის გახსნას და საბანკო პლასტიკურ ბარათს — ასეთი ბარათები ეროვნული ნაკრების ლოგოთი დამშვენდება.

ფან-კლუბის ის წევრები, რომლებიც არც ერთი სახის საიდენტიფიკაციო ბარათს არ შეიძენენ, ვერ ისარგებლებენ შეღავათებით.

უკვე შექმნილია ფან-კლუბის თილისმა — ესკიზის ავტორია მიხო ქოჩაკიძე — ფან-კლუბის თილისმა მგლის ლეკვია, რომელსაც სახელი ჯერ არ აქვს.

„ამ მგელუკას სახელის რამდენიმე ვარიანტი კი გვაქვს, მაგრამ გადავწყვიტეთ, აქაში ფან-კლუბის წევრებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ყველა ფანს შეეძლება, თავისი ვარიანტი გამოგვიგზავნოს“ — გვითხრა არველაძემ. ფან-კლუბს მალე ვებგვერდიც ექნება.

დავით თავარქილაძე

დაარქვით სახელი მგელუკას!

ფედერაციამ ფანებს კონკრეტული პრივილეგიები შესთავაზა

პლატინიუმი

ღირებულება 100 ლარი

WELCOME-PACKAGE

- საიდენტიფიკაციო ბარათი.
- ელ. ფოსტის მისამართი.
- შარფი ფედერაციის და ფან-კლუბის სიმბოლიკით

MERCHANDISE

- 15% ფასდაკლება ფედერაციის ყველა ლიცენზირებულ პროდუქტზე

აბონემენტი

- პრიორიტეტი დაჯავშნაზე
- 20% ფასდაკლება

ბილეთი

- პრიორიტეტი დაჯავშნაზე
- ცალკე შესასვლელი და სექტორები

მგზავრობა

- ექსკლუზიური წინადადებები საგარეო მატჩებზე გასამგზავრებლად

□ სხვადასხვა აქციებში მონაწილეობა (ბაზაზე მისვლა, ტურნირები, ა.შ.)

ოქრო

ღირებულება 50 ლარი

WELCOME-PACKAGE

- საიდენტიფიკაციო ბარათი.
- ელ. ფოსტის მისამართი.
- შარფი ფედერაციის და ფან-კლუბის სიმბოლიკით

MERCHANDISE

- 10% ფასდაკლება

აბონემენტი

- პრიორიტეტი დაჯავშნაზე
- 15% ფასდაკლება

ბილეთი

- პრიორიტეტი დაჯავშნაზე
- ცალკე შესასვლელი და სექტორები

□ სხვადასხვა აქციებში მონაწილეობა (ბაზაზე მისვლა, ტურნირები, ა.შ.)

ვერცხლი

ღირებულება 15 ლარი

WELCOME-PACKAGE

- საიდენტიფიკაციო ბარათი
- ელ. ფოსტის მისამართი
- შარფი ფედერაციის და ფან-კლუბის სიმბოლიკით

MERCHANDISE

- 8% ფასდაკლება

აბონემენტი

- პრიორიტეტი დაჯავშნაზე
- 10% ფასდაკლება
- ცალკე შესასვლელი და სექტორები

□ სხვადასხვა აქციებში მონაწილეობა (ბაზაზე მისვლა, ტურნირები, ა.შ.)

უეფას მისამართი შეეშალა

ამერი დოპინგზე შეამოწმეს

ქართული ფეხბურთის ამ 16-წლიან ისტორიაში მესამედ გუშინწინდელი „ამერი“ — „ბანანცის“ უეფას თასის მატჩის შემდეგ დოპინგ-კონტროლი ჩატარდა. უეფას ორი ემისარი, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, „მიხეილ მესხის“ სტადიონს კონსპირაციულად, თამაშამდე ნახევარი საათით ადრე მიადგა და სტადიონის დაცვის თანამშრომლები ცოტა არ იყოს გაკვირვებულნიც დატოვეს, როცა უეფას შესაბამისი საბუთი წარმოადგინეს. მასპინძლები კი უეფას დოპინგ-რევიზორებს მომზადებული დახვედრიან, დოპინგ-კონტროლიორებს არანაირი პრეტენზია არ ჰქონიათ.

რაც შეეხება საქმეს, დოპინგ-კონტროლიორებმა შესვენებაზე კენჭისყრით შეარჩიეს ორ-ორი ფეხბურთელი, რომლებიც ნამატჩევს უნდა შეემოწმებინათ. ორ სომეხთან ერთად „ამერიდან“ დოპინგ-ტესტების ჩაბარება დავით სევასტოპულოსა და გიორგი დეკანოსიძეს მოუწიათ. უეფას წარმომადგენლებმა ანალიზები თავიანთ ლაბორატორიაში წაიღეს და ვაი, თუ პასუხები დადებითი აღმოჩნდა...

ისე, „ამერის“ თამაშს თუ გავიხსენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოპინგ-კონტროლიორებს მისამართი შეშლიათ — რად უნდოდათ ამერელებს იმ მატჩის შემდეგ შემოწმება?!

კოგა ინასარიძე

დავით მუჯირი: იმედია, ხოჯავა ჩვენთან დარჩება

რუსეთის პრემიერლიგაში თერთმეტი ტურია ნათამაშები და ქართველ ლეგიონერთა გუნდები მოწინავე პოზიციებზე არიან — ნუკრი რევიშვილის, გიორგი ქინქლაძის, მიხეილ აშვეთიას და ლაშა სალუქვაძის „რუბინი“ მეორე ადგილზეა, გოგიტა გოგუას „ნალჩიკი“ მესამეზე, გიორგი ჭელიძის და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივი“ მეხუთეზე, ხოლო დავით მუჯირის „კრილია“ მეექვსეზე. სამარის „კრილიამ“ მეთერთმეტე ტურში „ამკარს“ 6:1 მოუგო და მუჯირი სამი საგოლე პასით გამოირჩა. მუჯირს რუსულ ამბებზე ვესაუბრეთ...

— მეექვსე ადგილზე ხართ და ალბათ არცთუ მოკრძალებული მიზნები გამოძრავებთ...

— ხუთეულში შესვლისთვის ვიბრძვით, ასეთი მიზანი გვქონდა სეზონის დაწყების წინაც. თუმც წინ ჯერ კიდევ 19 ტურია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— „ლოკომოტივი“, ცსკა, მოსკოვი, „სპარტაკი“ — ბობოლებს დანარჩენი რუსული გუნდები ალბათ დიდად არ ჩამორჩებიან, რადგან გათამაშების ცხრილში სიმჭიდროვეა...

— ვფიქრობ, მხოლოდ „რუბინს“ აქვს იმის შესაძლებლობა, ამ სამ გუნდს კონკურენცია გაუწიოს მაღალი ადგილის დასაკავებლად. რაც შეეხება ნალჩიკის „სპარტაკს“, ეს გუნდი სეზონის აღმოჩენაა.

— „ამკართან“ სამი საგოლე გადაცემა შეასრულე — საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩი?

— მაკროტრავმის გამო ამ მატჩამდე ორი კვირა უქმად ვიყავი, მხოლოდ თამაშის წინა დღეს ვივარჯიშე და აქედან გამომდინარე, ურიგოდ ნამდვილად არ მითამაშია. მწვრთნელმაც ისეთი დავალება მომცა, ჯიდად არ დავტვირთულიყავი.

— მანამდე ავსტრიის ჩემპიონატში თამაშობდი — რუსული პრემიერლიგა ბევრად უკეთესია?

— ასეა, რუსეთის ჩემპიონატი ავსტრიისას ბევრად ჯობია, რუსეთში ვინ ვის მოუგებს, ძალიან ძნელი გამოსაცნობია.

— ავსტრიულ შტურმს შენი ვალი რომ მართებდა, ეს საკითხი როგორ გადაწყდა?

— დავა ისე დასრულდა, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩით.

— თვეზე მეტია, გოჩა ხოჯავა გასინჯვაზეა „კრილიაში“ — რა პირი უჩანს მის გუნდში დარჩენა-არდარჩენას?

— რამდენადაც ვიცი, ხოჯავას საკითხი დღე-დღეზე გადაწყდება. იმედი მაქვს, რომ ხოჯავას „კრილიაში“ დატოვებენ, რადგან ის საკმაო ხანს გააჩერეს გუნდში.

დავით თავართქილაძე

ირლანდია

პრემიერდივიზიონი. XVI ტური

დუბლინ სიტი 1:2 შელბურნი

სენტ პატრიკსი 0:1 ბოჰემიანსი

უოტერფორდი 1:2 სლიგო

სლოვაკეთი

I ლიგა. I ტური

სენეცი 0:1 ნიტრა

ზესტაფონმა დონეცკს სერია შეუწყვიტა

ტოპიმ გოლები ვერ ნახა

გერმანულ გრიუნბერგში შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ თავისი მეორე საკონტროლო მატჩი გამართა და დონეცკის „მეტალურგთან“ 0:0 ითამაშა. ეს შეხვედრა პატარა ქალაქ ბიტბურგში, გრიუნბერგიდან 200 კილომეტრის მოშორებით ჩატარდა.

„მეტალურგის“ ვებგვერდის ცნობით, “ზესტაფონი“ დაცვიდან თამაშობდა და კარში მხოლოდ ერთხელ დაურტყამთ, მატჩის დასაწყისში ქართველები უფრო აკონტროლებდნენ ბურთს, თუმცა სადღაც მე-15 წუთიდან უკრაინელებმა უპირატესობა მიიპოვეს და ხშირად აწუხებდნენ ფეროელთა მეკარე გრიგოლ ჭანტურიას — დონეცკელებმა ექვსჯერ დაარტყეს კარის ჩარჩოში. სრულად ითამაშა „მეტალურგის“ თავდამსხმელთა ლიდერმა გიორგი დემეტრაძემ, რომელიც განსაკუთრებით პირველ ტაიმში აქტიურობდა. მთლიანობაში, არასანახაობრივი, ჩახუთული თამაში ყოფილა.

„ზესტაფონის“ თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა: ჭანტურია, ძამსაშვილი, ჩხეტიანი, თოდუა, ღონღაძე, ბენაშვილი (გავაშელიშვილი (70), ბჟალავა, გ. ნუგ. ჭელიძე (კვასხვაძე 83), განუგრავა (ხიდეშელი 79), გოცირიძე (ძარია 79), იონანიძე.

„მეტალურგის“ ესპანელ მწვრთნელ ანხელ ალონსოს უთქვამს, ქართველები მშვენივრად იცავდნენ თავს და გამართული ფეხბურთი ითამაშეს, თუმცა სანახაობრივი მხარე არ ვარგოდაო. ჩვენი მხრივ, გაცნობებთ, რომ დონეცკელებს აქამდე მიჯრით 7 საკონტროლო მატჩი ჰქონდათ მოგებული.

და კიდევ, თამაშს საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ესწრებოდა. „მე არა მხოლოდ „ზესტაფონის“ ფეხბურთელებს, არამედ გიორგი დემეტრაძესაც ვაკვირდებოდი. მის კიდევ ნახვას შაბათსაც ვაპირებ ამხანაგურ მატჩში“ — უთქვამს ტოპმიოლერს.

შეგახსენებთ, „მეტალურგამდე“ ზესტაფონელები ფრანკფურტის „აინტრახტის“ მეორე შემადგენლობას ეთამაშნენ და 2:2 გაეყარნენ, გოლები კი ზურაბ იონანიძემ და ვია იმედაძემ გაიტანეს.

ილია ნანოგაშვილი

ფოფხაძე ჰართსს უახლოვდება

ვალდას ივანაუსკასი: ქართველი ძალიან ნიჭიერია, გამოგვადგება...

გიორგი ფოფხაძე კვლავ შოტლანდიურ „ჰართსს“ ახლავს შეკრებაზე და საქმე იქითკენ მიდის, რომ მალე კონტრაქტს გააფორმებს. 19 წლის ქართველ მარცხენაფლანგელს რუმინულ „კლუჟთან“ ტესტ-მატჩში (1:1) არ უთამაშია, სამაგიეროდ, „ჰართსის“ ლიტველი თავკაცი ვალდას ივანაუსკასი მის დაყენებას ბოლო ორ საკონტროლო შეხვედრაში აპირებს — ინგლისურ „პრესტონთან“ და ესპანურ „ოსასუნასთან“.

„გიორგი ჩემს გონებაშია. მას ძალიან დიდი მომავალი აქვს, ახალგაზრდაა, ნიჭიერი და მონდომებული“ — აცხადებს ივანაუსკასი.

„ჰართსმა“ უკვე დაიწუნა პორტუგალიელი ტიაგო კოშტა, ხოლო ჩეხი ურბანეკი ფოფხაძესავით გასინჯვაზე ჰყავთ. თუმცა შოტლანდიური პრესა. წერს, სავარაუდოდ, „ჰართსში“ სწორედ ქართველი ჩაირიცხება ამ დღეებშიო.

გეცოდინებათ, ბრიტანულ კლუბში გადასასვლელად სანაკრებო მატჩების 75 პროცენტია საჭირო, თუმცა გამონაკლისებიც არსებობს — ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფეხბურთელებს შეღავათს უწევენ. თავის დროზე შეღავათი გაუწიეს დინამოელ რატი ალექსიძეს ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლისას. იყო ისეც, რომ ქართველი ფეხბურთელი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტმა დაამუხრუჭა — შარშან სანდრო იაშვილს უპირებდნენ „გლაზგო რეინჯერსში“ ჩარიცხვას, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში მას მხოლოდ სამი მატჩი ჰქონდა ჩატარებული და დასაქმების დეპარტამენტმა იაშვილზე „რეინჯერსის“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეკომენდაციები არ გაითვალისწინა.

შეგახსენებთ, ფოფხაძემ ერთხელ უკვე ითამაშა „ჰართსის“ შემადგენლობაში — სლოვაკურ ტრნავას „სპარტაკთან“ შეცვლაზე შევიდა და მისი მოედანზე ყოფნისას ედინბურგელებს გოლი არ გაუშვიათ. ის მატჩი გიორგიმ მარცხენა ნახევარმცველად ჩაატარა. მოკლედ, უახლოეს დღეებში მართლაც საინტერესო ტრანსფერი გველის...

ილია ნანოგაშვილი

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-ჯგუფში გასანევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: .....

გვარი: .....

დაბადების თარიღი: .....

ელფოსტა: .....

ე-ფოსტა: .....

სარბიელი

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი



ქართულმა კლუბებმა უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები ჩააფლავეს და ამას რაღაცნაირად უკვე მივეჩვიეთ. აი, ჩვენი ლეგიონერების კლუბებმა კი კარგად დაიწყეს და უკლებლივ ყველამ მოიგო.

ლიტვის „კაუნასმა“ ირლანდიაშივე დაანახვა „პორტდაუნს“, რომ გასვლის იმედი არ უნდა ჰქონდეს. კაუნასელებმა 3:1 მოიგეს, პირველი გოლი კი ნუკრი მანჩხავამ უკვე მე-2 წუთზე გაიტანა. მანჩხავამ და კაუნასელთა მეორე ქართველმა, გივი კვარაცხელიამ სრულად ითამაშეს.

მიხეილ ყაველაშვილი 84-ე წუთზე შევიდა მინდორზე, ამ დროს „ბაზელი“ უკვე 3:1 უგებდა ყაზახეთის „ტობოლს“ და „ყაველას“ შესვლის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა.

სენსაციურად მოიგო ლექსო ინწკირველისა და რომან ახალკაცის აზერბაიჯანულმა „ქარვანმა“ — მათ შინ 1:0 აჯობეს სლოვაკურ ტრნავას „სპარტაკს“ და ორივე ქართველმა 90 წუთი ითამაშა.

რიგის „სკონტომ“ კი სტუმრად 2:0 სძლია ლუქსემბურგის „ჟენესს“, თუმც ზაალ ელიავა ტრავმის გამო არ გამოჩენილა მინდორზე.

ილია ნანოგაშვილი

ქართულები აგებენ, ქართველები იგებენ

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (აღმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

გიორგი დევდარიანი ფოტო

ფეხბურთში უნივერსალიზმის სიო უბერავს, საქართველოში კი არაფერი

გიორგი დევდარიანი ქართველმა საფეხბურთო მილეთმა „თბილისში“ მთავარ მწვრთნელად მუშაობისას გაიცნო. ეს ახალგაზრდა, საინტერესო სპეციალისტი ახლა, ფაქტობრივად, უმუშევარია, ბავშვთა ფეხბურთში ენთუზიასტური პრინციპით საქმიანობას. დევდარიანს აწ დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა ქართული ფეხბურთის პრობლემატიკაზეც ვესაუბრეთ

— მიგაჩნიათ, რომ გერმანია 2006 ძალიან ჩვეულებრივი ჩემპიონატი გამოდგა?

— კი, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ფეხბურთის განვითარების მხრივ რა მოიტანა გერმანია 2006-მა, ამას ღრმა ანალიზი სჭირდება. წინა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოთხი წელი გავიდა და შეუძლებელია, ცვლილებები არ მომხდარიყო. თუ რა კუთხით განვითარდა ფეხბურთი ამ ოთხ წელიწადში, ამის გაგება მეც ძალიან მაინტერესებს. როგორც ვალერი ლობანოვსკი ამბობდა, ტოტალური ფეხბურთის შემოსვლით ფეხბურთში რევოლუციები დასრულდა, მაგრამ ევოლუციები იქნება.

— და რა ევოლუციური მომენტები შენიშნეთ გერმანია 2006-ზე?

— გერმანული ფეხბურთი მშრალი და პრაგმატული აღარ იყო, იტალიის ნაკრებმა კი თავის პირველ მატჩში განასთან, ძალიან შემტევი ფეხბურთი ითამაშა, მომდევნო მატჩებში კი ჩანდა იტალიელთა რეზერვი, რომლის წყალობითაც გუნდს ნებისმიერ მომენტში შეეძლო, აფეთქებულიყო. ფინალში იტალიამ ის თამაში ითამაშა, რასაც მიზანი მოითხოვდა — როგორც კი იტალიამ გოლი გაუშვა, შეუტია და საპასუხო გაიტანა, კიდევ რომ გაეშვა გოლი, დარწმუნებული ვარ, შეცვლიდა თამაშს და კვლავ წარმოაჩენდა შემტევ პოტენციალს. მოკლედ, გერმანიამ და იტალიამ რამდენიმე სიახლე შემოგვთავაზეს.

— ცალკეული ფეხბურთელების ახალი თვისებები და ახალი, საინტერესო ფეხბურთელები თუ აღმოაჩინეთ?

— არ მეგონა, რიკელმეს და სორინს ნაკრებშიც ასეთ მაღალ დონეზე თუ შეეძლოთ თამაში. კარგად წარმოაჩინა თავი გროსომ; აღსანიშნავია რიბერის სწორი თამაში და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება; სასიამოვნოდ გამაკვირვა ფილიპ ლამმა, და საერთოდ, მიმაჩნია, რომ ნახევარმცველი დაშტამპული ცნება აღარ არის, რადგან ნახევარმცველს ხშირად ფორვარდივით უწევს თამაში. მთავარი, რაც გერმანია 2006-მა დაგვანახა, ისაა, რომ ფეხბურთი კიდევ უფრო მეტი უნივერსალურობისკენ მიდის, ევოლუციის დანარჩენი დეტალები კი მეორეხარისხოვანია — თანამედროვე ფეხბურთში უნივერსალიზმის სიო უბერავს.

— და, რა სიო უბერავს ქართულ ფეხბურთში?

— ქართულ ფეხბურთში არაფერი უბერავს, ჩვენ ვეღარც კი მივდევთ თანამედროვე ფეხბურთს, ერთ ადგილზე ვდგავართ.

— ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის მოსვლითაც ვერ შეიცვლება ვითარება?

— ტოპმიოლერი სახურავია იმ სახლისა, რასაც ფეხბურთი ჰქვია, მაგრამ ამ სახლს ჯერ საძირკველი სჭირდება. ტოპმიოლერის მოსვლით შეიცვლება ის, რომ ჩას ქართველი მწვრთნელებივით ვერ მოეპყრობიან — მის ნათქვამს სულ სხვანაირი რეაგირება მოჰყვება, მის ნათქვამს ანგარიშს გაუწევენ და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე იზრუნებენ. ეროვნულ ნაკრებს მწვრთნელის გარდა ფეხბურთელებიც სჭირდება, ფეხბურთელის ჩამოყალიბება კი 14 წლიდან იწყება, ამ ასაკიდან არჩევენ ნიჭიერ ფეხბურთელებს და მათ უკვე სერიოზულად ავარჯიშებენ, ამ ასაკიდან უკვე ყოველი წუთი და წამი გამოთვლილია და 14 წლიდან 6-7 საათია სამუშაო ფეხბურთელის ჩამოსაყალიბებლად. ჩვენთან კი საათნახევარი ავარჯიშებენ მოზარდს და მერე სახლში უშვებენ.

— გეგულებათ საქართველოში ისეთი 15-18 წლის ფეხბურთელები, რომელთაც ჯერ არ იცნობენ, მაგრამ დიდი პოტენციალი აქვთ?

— თექთუმანიძე და თარხნიშვილი „ზესტაფონი 2“-დან; ბეგლარიშვილი, ფაილოძე და ტყებუჩავა „ოლიმპიდან“; ყენია „ლოკომოტივიდან“, ვინც უკვე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობს; დევდარიანი რუსთავის „ოლიმპიდან“; ძალიან ნიჭიერია გია ნემსაძის 15 წლის ვაჟიც...

დავით თავართქილაძე

ბათუმში ახალი სტადიონი?

უგაბელიოდ: გოგიტიძე, ბალაძე და ადგილობრივები

რამდენიმე წლის განმავლობაში „ბათუმი“ ვერაფრით ახერხებდა მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას, შარშანწინ გუნდი გავარდნის პირასაც იყო და მხოლოდ წინა სეზონის მეორე ნრეში მოყოჩაღდა, როდესაც ევროტურნირებზე გასვლამდე ცოტაღა დააკლდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ინგლისში მცხოვრებმა ინვესტორმა „ბათუმის“ დაფინანსება აღარ ისურვა და გუნდის შემადგენლობაც თითქმის ბოლომდე დაიშალა. ზღვისპირული კლუბი მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებით ვარჯიშობს, ოთარ გაბელია კი გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარაა.

გუშინ კი „ბათუმის“ ტექნიკურმა დირექტორმა თამაზ ცინარიძემ სხვა სიახლეებთან ერთად მოულოდნელი ამბავიც გვაცნობა...

„ბათუმში ახალი სტადიონი რომ შენდება, თუ იცით? რამდენადაც ვიცი, მშენებლობა 5 მილიონი ლარი დაჯდება, ფინანსებს კი ზუსტად ვერ გეტყვით, ვინ გაიღებს. თავად საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სურვილია, ბათუმში ახალი სტადიონი წამოიჭიმოს და საქართველოს ნაკრებმა ზოგიერთი მატჩი აქ ითამაშოს. ამას სრული სერიოზულობით ვამბობ“.

სტადიონის თემას მომდევნო დღეებიც მივუბრუნდებით, ახლა კი „ბათუმის“ ამჟამინდელ მდგომარეობაზეც ვთქვათ. კუნჭულია, ცანავა, დუმბაძე, ფარტენაძე, გოგიშვილი, ნაჭყეპია, ხარაზი — წინა სეზონის შემდეგ გუნდს მხოლოდ ეს ფეხბურთელები შემორჩნენ. მათ კი „ბათუმის“ ფარმკლუბის და ქობულეთელი მოთამაშეები დაემატნენ.

„გუნდში 35-40 კაცი ისინჯებოდა, ასე რომ, შერჩევის პროცესი დიდხანს მიმდინარეობდა და ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. სეზონის დაწყებამდე ჯერ კიდევ დროა და ერთი-ორი მოთამაშე შეიძლება გადმოვიყვანოთ — მათ შორის თბილისის „დინამოში“ მყოფი მეკარე ირაკლი თოთლაძე. დაახლოებით ერთ კვირაში ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება. ასე გადავწყვიტეთ, ადგილობრივი კადრები უნდა აღვზარდოთ და მომავლის გუნდი გავაკეთოთ. მოკლედ, ბათუმში საფეხბურთო ცხოვრება არ მომკვდარა“ — გვითხრა ცინარიძემ.

და ბოლოს: „ბათუმს“ ახლა ამირან გოგიტიძე და ასლან ბალაძე ავარჯიშებენ.

ილია ნანოგაშვილი

ბადრი ჯობელაძის ფოტო

ფოტოები

ოთარ გაბელიას წასვლის მერე „ბათუმი“ ასლან ბალაძეს და ამირან გოგიტიძეს დარჩათ

თვესასწაული ყოველდღე

ემზარ ზენაიშვილი

აკრედიტებული შთაბეჭდილებები

და მაინც, რა არის ფეხბურთი? ერთნი ამბობენ, რომ ის უფრო მეტია, ვიდრე სპორტი, მეორენი მიიჩნევენ, რომ ამ უაზრო გართობას, ფაქტობრივად, მხოლოდ ფეხები სჭირდება და ნაკლებად — თავი. მესამეთათვის ის გადამდები, უკურნებელი სნეულებაა, რომელიც მილიონობით ადამიანს გამოათაყვანებს ხოლმე. ბევრისთვის ფეხბურთი ცხოვრების თამაშია... და კიდევ ვინ იცის, რას არ იტყვიან ხოლმე.

სხვათა შორის, ევროკავშირის მაღალჩინოსნებიც ჩაებნენ ფეხბურთის რაობაზე გამართულ დისკუსიაში. მათი აზრით, ფეხბურთი ბიზნესია, რომელიც უნდა რეგულირდებოდეს ევროკავშირის ეკონომიკის თანახმად. ოპონენტები ფიფადან და უეფადან მიიჩნევენ, რომ ფეხბურთს ბიზნესთან არავითარი კავშირი არ აქვს, იგი სოციალური მოვლენაა, რომლის მიმართ მიუღებელია რეგულირების (მართვის) სტანდარტული ფორმულები.

გერმანელებს გასული საუკუნის 50-იან წლებში ჰყავდათ ცნობილი მწვრთნელი ზეპ ჰერბერგერი. 1954 წელს სწორედ მისი თავკაცობით გახდა პირველად გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი და მისი წინამძღოლობით ნაკრებმა რეკორდული ოდენობის — 167 მატჩი ჩაატარა. ერთხელაც ფეხბურთის რაობაზე მორიგ შეკითხვას დიდმა ზეპმა ირონიული გულუბრყვილობით უპასუხა:

„ვანა თქვენ არ იცით, რა არის ფეხბურთი? ეს ხომ ძალზე უბრალოა — ბურთი მრგვალია და თამაშის ხანგრძლივობა კი მხოლოდ საათნახევარი“.

უბრალოდ და დამაჯერებლად შეეცადა კაცი ეთქვა ის, რაც იცოდა, რომ მთლად ასე არ იყო.

ფეხბურთი — აზარტული სპორტი.

ფეხბურთი — უმსხვილესი ბიზნესი ძალზე დიდი ფულით.

ფეხბურთი — მძლავრი ინდუსტრია და კიდევ უფრო მძლავრი მაფია.

ჰერბერგერისეული ფორმულა მრგვალი ბურთისა და 90 წუთის შესახებ ძნელი გასაგებია, როცა მხოლოდ გერმანიაში ჩასული 32 ეროვნული ნაკრების წევრთა და მათი მწვრთნელების ღირებულება 3-დან 4 მილიარდ დოლარამდეა, როცა მხოლოდ გერმანიაში მსოფლიოს თასის სამასპინძლო სტადიონების ასაშენებლად თუ სარეკონსტრუქციოდ თითქმის ერთი მილიარდი ევრო გამოიყო, ან როგორ უნდა გაუგო ჰერბერგერისეულ ფორმულას როცა ფიფას საპრიზო ფონდი 230 მილიონი დოლარია, როცა მხოლოდ მსაჯთა კორპუსის ასანაზღაურებლად დაიხარჯა 15 მილიონამდე ევრო, როცა მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასი შავ ბაზარზე 15-20-ჯერ მეტი იყო ნომინალურზე, როცა ერთ თვეში 12 მილიონი ტურისტი გსტუმრობს, ტოტალიზატორებში კი დადებულია ვისთვის წაგებული და ვისთვის მოგებული მილიარდობით დოლარის ფსონი. და ამ დროს 15 საერთაშორისო და ადგილობრივი სპონსორი ძალზე გულუხვია — მათგან ხომ 750 მილიონი ევრო შეუვიდა ფიფას და საორგანიზაციო ყულაბას, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრის განცხადებით კი, გერმანელების სუფთა მოგება სამი მილიარდი ევროთი განისაზღვრა.

ფეხბურთს კონტინენტის ეკონომიკაზეც შეუძლია გავლენის მოხდენა. მაგალითად, **ABN AMRO**-ს ანალიტიკოსებმა ისიც კი გამოიანგარიშეს, რომ ევროპის ეკონომიკისთვის ყველაზე მომგებიანი იქნებოდა ფინალი გერმანიისა და იტალიის მონაწილეობით და ამ უკანასკნელის გამარჯვებით.

და, რაც მთავარია, ფაქტობრივად, ჩემპიონატის პერიოდში მასპინძელი ქვეყანა იცვლის ცხოვრების წესს!

. . .

ბოლო 20-25 წელია, გერმანიის სხვადასხვა ქალაქში წელიწადში რამდენჯერმე მიწევს ყოფნა. მაგრამ ასეთი არეულ-დარეული, ხმაურიანი, ჭუჭყიანი, გაგიჟებულ-გადარეული დროის არც ერთ მონაკვეთში და არც ერთი რაიმე რეზონანსული, კულტურული თუ სპორტული აქციის დროს არ მახსოვს.

ქალაქები ძალზე აჭრელებული იყო ფანების ჩაცმულობით — ათი თუ თერთმეტი მილიონი ტურისტი სტუმრობდა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას. ქუჩებში, სტადიონებზე, ფანკლუბების პარკებში, რკინიგზის სადგურებსა და აეროპორტებში, მაღაზიებში მინიმუმ ოცდათორმეტი სახის მაისურიანი, დროშიანი, ქუდიანი და, შესაბამისად, ტან თუ ლოყა-სახე მოხატული ხალხი ირეოდა. გუნდებისა და მათი ფანების გამგზავრების კვალობაზე ფერთა სიჭრელემ იკლო. ნახევარფინალებისას აშკარა უპირატესობა გერმანელების მხარეს იყო. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ფეხბურთის გიჟმაჯი და ისეთიც, სპორტის ეს სახეობა ცალ ფეხზე რომ ჰკიდია, გერმანიის ძალზე ლამაზ და ეფექტურ „ადიდასის“ მაისურაში გამოწყობილი დადიოდა. და იცით, რა ღირდა ეს მაისურა? არც მეტი, არც ნაკლები — 65 ევრო! ტურნირის შუაწელს ზომებში არჩევანი აღარ იყო. და მაინც, ყიდვა მოსწრებაზე გახლდათ.

საერთოდ, ნაკრებთა სპორტულ აღკაზმულობაზე საუბარი ცალკე თემაა. ეს დიზაინერთა სფეროს განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ერთგვარი შეჯიბრიც კი იყო, თუ რომელი გუნდი გამოირჩეოდა ფერთა შეხამებით, დიზაინერული გადაწყვეტით, მასალის შემცველობით, ვარგისიანობით...

– გახსოვთ XX საუკუნის მოდისა და პარფიუმერიის ბრწყინვალე ოსტატის, მადამ შანელის სიტყვები?

„თუ თქვენ თვალი მოგჭრათ მშვენიერმა ქალბატონმა და მზერას ვერ აცილებთ, მაგრამ მეორე დღეს ველარ იხსენებთ, რა და როგორ ეცვა — ჩათვალეთ, რომ ის უზადოდ ჩაცმული გახლდათ“.

ეს სიტყვები მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა აღკაზმულობასთან დაკავშირებითაც შეიძლება რაღაც ფორმით ვიგულისხმოთ. ყველას ვერც დაიმახსოვრებდით. ყოველ გუნდს ხომ 2-3 ბაზისური ფერები ჰქონდა.

სხვათა შორის, დაკვირვებული მაყურებელი იოლად შეამჩნევდა, რომ დიზაინერული თვალსაზრისით ძალზე ჰგავდა ერთმანეთს ფრანგებისა და გერმანელების მაისურები.

საყოველთაოდ მიღებული აზრია, გერმანიაში „ადიდასმა“ გენერალური ბრძოლა გამოუცხადა „ნაიკსაც“ და „პუმასაც“. ამ სამეულის ბატონობა გამოკვეთილი იყო, მაგრამ მათში „ადიდასი“ მაინც პირველი გახლდათ. და თავის სამშობლოში ასეც უნდა ყოფილიყო. მსოფლიო საფეხბურთო ბაზრის 35 პროცენტს დღეს „ადიდასი“, აკონტროლებს, „ნაიკისა“ — 25 პროცენტია.

თუმცა, თავიდანვე ჟურნალისტები ხაზს უსვამდნენ ერთ გარემოებას — „ნაიკს“ მარტო ის ეყოფა, რომ ბრაზილიელთა ჩამცმელ-დამხურველია. ტენდენცია ასეთი გახლდათ — ამერიკის კონტინენტზე დომინირებდა „ნაიკი“, ევროპაში — „ადიდასი“, აფრიკელთათვის — შედარებით ხელმისაწვდომია „პუმა“.

სხვათა შორის, ყველაზე მსუბუქი მაისურა და ტრუსი სწორედ „პუმაში“ შექმნეს და აეროდინამიკურ მილში გატარებული ორივე ერთად, მხოლოდ 100 გრამს იწონიდა.

მე კარგად მახსოვს „ნაიკის“ ცენტრები და სპონსორულ ღონისძიებათა კომპლექსი საფრანგეთსა და კორეაში. მიმაჩნია, რომ „ადიდასის“ სტრატეგია მასშტაბითაც და აქციათა მიზნობრიობითაც უკეთესი გახლდათ. მან პრინციპული ბრძოლა უპირობოდ მოიგო. მაგრამ თუ ჭეშმარიტებას არ გავექცევით, უნდა ითქვას, არც „ნაიკს“, მით უმეტეს, „პუმას“ თუ „ლოტოს“ გამოწვევა არ მიულიათ.

თერთმეტი ქალაქის შემოტარების შემდეგ ბერლინში, ფაშიზმზე საბჭოთა ჯარების გამარჯვების აღსანიშნავად აღმართული ობელისკიდან რამდენიმე ათეულ მეტრში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან დაიდო ბინა გლობუსმა-საოცრებამ, კლასიკური საფეხბურთო ბურთი რომ გეგონებოდათ.

ავსტრიელი არქიტექტორის ანდრე ჰელერის 23 მეტრი სიმაღლისა და 15 მეტრი დიამეტრის ამ მულტიმედიურმა პროექტმა, რომლის დამზადებაზე 60 ტონა ლითონი დაიხარჯა, ტურისტთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მას ერთგვარი მუზეუმის ფუნქცია ჰქონდა, სადაც შესაძლებელი იყო, ვირტუალური პროექციებითა და კომპიუტერული კომპოზიციებით თავი გეგრძნოთ მაყურებლებით გადაჭედილ სტადიონზე, შეგეძლოთ, გენახათ ფრაგმენტები თქვენთვის საინტერესო მატჩებიდან, გეხილათ დევიდ ბექემის ბუცები, ბურთები, რომლებითაც 1954 წელს ბერნში და 1974 წელს მიუნხენში თამაშობდნენ (იოლი მისახვედრია — მაშინ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში „ადიდასის“ ბურთით თამაშობდნენ).

სხვათა შორის, თავისი ქალაქის სპორტის მუზეუმისთვის საფეხბურთო გლობუსი უკვე შეიძინა ჰამბურგელმა ბიზნესმენმა ალექსანდრ ექსტრამ.

ცალკე უნდა ვისაუბროთ ბერლინის ადმინისტრაციულ შენობათა გვერდით მოწყობილ „ადიდასის“ ცენტრზე. ეს დროებითი ნაგებობაა, რომელიც კომპანიას 11 მილიონი ევრო დაუჯდა, რომელსაც სტადიონის ფორმა აქვს და სადაც გერმანიის ნებისმიერი ქალაქიდან მატჩების ტრანსლაციისთვის თვალი ერთობლივად შეეძლო ედევნებინა 6 ათას მაყურებელს. როგორც ამბობენ, ამ ცენტრის განთავსება განზრახული იყო ბერლინის ოლიმპიური სტადიონის მახლობლად და იმაზე გაბარაზებულმა და განაწყენებულმა, რომ სტადიონის ხელმძღვანელობამ ხელი არ შეუწყო ამ პროექტის განხორციელებაში, „ადიდასის“ შეფმა საერთო ენა გამონახა ბერლინის მუნიციპალიტეტთან და შიგ შუაგულ დედაქალაქში ეს უნიკალური ნაგებობა წამოჭიმა.

გერმანიაში „ადიდასი“ დომინირებდა, სიტუაციის ბატონ-პატრონი „ადიდასი“ გახლდათ. მათ ყველა აქციას წითელ ზოლად გასდევდა სიტყვები: **FOOTBOLL IS ADIDAS AND ADIDAS IS FOOTBOLL.**

გაგრძელება იქნება

ალბერტინიმ აჩვენა, როსიმ ამოირჩია

დონადონი გამოცდას აგვისტოში ჩააბარებს



რობერტო დონადონი

იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ბევრი არ უფიქრია და „სკუადრა აძურას" თავკაცად რობერტო დონადონი დანიშნა. ცხადია, ახალგაზრდა და ნიჭიერ მწვრთნელსაც არ უჭოჭმანია და სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებას. იგი იმანაც ვერ შეაშინა, რომ თვით მაესტრო მარჩელო ლიპი უნდა შეცვალოს და მსოფლიო ჩემპიონი ნაკრები ორი წლით ჩაიბარა.

დონადონი 1963 წლის 9 სექტემბერს ბერგამოში დაიბადა და სათამაშო კარიერა „ატლანტაში" 1982 წელს დაიწყო. 1986 წელს „მილანში" გადავიდა, რომლის რიგებშიც, ფაქტობრივად, ყველაფერი მოიგო და იტალიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველად იქცა. 1996 წელს ერთი სეზონი ნიუ იორკის „მეტროსტარზში" გაატარა, რასაც ერთი წლით ისევ „მილანი" მოჰყვა. ბოლოს კი საუდეთის „ალ იტიჰად ჯედაში" ითამაშა და ადგილობრივი ჩემპიონატიც მოიგო.

„როსონერისთან", ერთად იგი ხუთჯერ გახდა სკუდეტოს მფლობელი (1998, 1992, 1993, 1994, 1996), სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი (1989, 1990, 1994), სამჯერ — ევროპის სუპერთასი (1989, 1990, 1995), ოთხჯერ — იტალიის სუპერთასი (1989, 1992, 1993, 1994) და ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი (1989, 1990). „სკუადრა აძურას" რიგებში ჩაატარა 63 მატჩი და გაიტანა 4 გოლი. უთამაშია ორ მსოფლიოს (1990, 1994) და ამდენივე ევროპის (1988, 1996) ჩემპიონატზე.

დიდი სამწვრთნელო გამოცდილება არ აქვს, მაგრამ სახელის მოხვეჭა უკვე მოასწრო. 2001-02 წლების სეზონში სერია C-ს ბინადარ „ლეკოს" თავკაცობდა. შემდეგ იყო სერია B-ში მყოფი „ლივორნო" და ცოტა ხნით „ჯენოა". 2005 წლის იანვარში „ლივორნოში" დაბრუნდა და გუნდს სერია A-ში ადგილი შეუნარჩუნა. მომავალ სეზონში კი ძალიან კარგი ფეხბურთი ათამაშა. მის ხელში ტოსკანელები მეექვსე ადგილზე იყვნენ, მაგრამ კლუბის ექსცენტრულმა პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ, მოულოდნელად მისი კრიტიკა დაიწყო, რის გამოც დონადონიმ 2006 წლის თებერვალში პოსტი დატოვა. ამის მერე ლივორნოელთა საქმე ცუდად წავიდა და სპინელიმ არაერთხელ მოიხადა საჯაროდ ბოდიში — დონადონი არ უნდა გამეშვა, ძალიან შევცდიო.

იტალიაში მის დანიშვნას სპეციალისტებისა და ქომაგების უმეტესობა პოზიტიურად ხვდება. დონადონის მედიას, ოფიციალურად სამშაბათს, რომში წარუდგენენ. მისი პირველი გამოცდა კი 16 აგვისტოს ხორვატიასთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

„ვფიქრობ, დონადონის წარმატებით მუშაობა შეუძლია. მას მწვრთნელობის ნიჭი აქვს და საქმეს თავიდანვე სერიოზულად მოეკიდა, ძალიან მომზადებული ჩანს. მის დანიშვნას მივესალმები" — აღნიშნა ლეგენდარულმა დინო ძოფმა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკი, დონადონის ყოფილი თანაგუნდელი და მეგობარი დემეტრიო ალბერტინი: „გვინდოდა, ახალგაზრდა მწვრთნელი შეგვერჩია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ, როდესაც ფედერაციის მმართველ გვიდო როსის კანდიდატების სია ვაჩვენე, მანაც რობერტო გამოარჩია. თანაც არ გვსურდა, რომელიმე კლუბის მწვრთნელი შეგვეწუხებინა."

„იგი კარგი ადამიანი და ფეხბურთელია, რომელმაც დიდებულ „მილანთან" ერთად ბევრი რამ მოიგო. ამასთანავე ნიჭიერი მწვრთნელია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ტურინის „იუვენტუსს" ფაბიო კაპელოს შემცვლელად უნდოდა. ფედერაციამ მშვენიერი არჩევანი გააკეთა, ფეხბურთელებიც კმაყოფილნი არიან" — ეს კი „სკუადრა აძურას" დღემდე საუკეთესო მეგოლისა (35) და ამჯერად იტალიელთა მენეჯერის, ლუიჯი რივას სიტყვებია.

თავად დონადონიმ კი თქვა: „ძალიან ბედნიერი და აღელვებული ვარ, მაგრამ უნდა დავმშვიდდე. ყველაფერი რამდენიმე წუთში

დინო ძოფი

მოხდა. კონტრაქტის მთავარ დეტალებზე უცებვე შევთანხმდით, ისე რომ, ფინანსურ მხარეზე არც კი გვილაპარაკია და ეს ახლა, მართლაც, არ არის მნიშვნელოვანი. გაზეთებში ჩემს გვარს ვკითხულობდი, მაგარმ არაფერი ვიცოდი და ფინალის მეორე დღემდე არც არავინ დამკავშირებია. ძალიან მეამაყება, რომ ეროვნულ ნაკრებს ვუთავკაცებ, მაგრამ ვიცი, წინ რთული და სერიოზული სამუშაოა. თუმცა მწვრთნელობა ჩემი პროფესიაა და გავაკეთებს ყველაფერს, რაც შემეძლება. ყველამ ვიცით, თუ ვინ იყო ჩემამდე ამ პოსტზე და რაც გააკეთა. ვეცდები, ლიპი ღირსეულად შევცვალო."

გიორგი ძაძაბაძე

თავ-მკერდის ამბავი ფიფამ გაითავისა

ამერიკაში მხეცი და ღმერთი აინტერესებთ

ფიფამ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მომხდარი ცნობილი ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილის, იტალიელი მცველის, მარკო მატერაცის საქციელს გამოიკვლევს — საუბარია იმ „დედის გინებაზე", რამაც ზინედინ ზიდანი წყობიდან გამოიყვანა და მატერაცისთვის მკერდში თავი დაარტყმევინა.

„ასეთი გადაწყვეტილება ფრანგი ფეხბურთელის განცხადებამ მიგვაღებინა" — წერია ფიფას ოფიციალურ განცხადებაში.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ფეხბურთის შეფები ორივე ფეხბურთელის ქცევასა და ამ ქცევის გამომწვევ მიზეზებს დაწვრილებით გამოიკითხავენ და მოკვლეულ მასალებს 18 ივლისს მოუყრიან თავს. ამის შემდეგ, 20 ივლისს, ციურიხში გამოიძახებენ, როგორც ზიდანს ასევე მატერაცის და უშუალოდ გაესაუბრებიან ერთსაც და მეორესაც.

და, რა შეიძლება ფიფამ ინციდენტის მონაწილეებს მიუსაჯოს? ზიდანისთვის დისკვალიფიკაციის მისჯას, ბუნებრივია, აზრი არ აქვს, რადგან მან ისედაც დაანება ფეხბურთის თამაშს თავი, ასე რომ, ფრანგს ფულად ჯარიმას თუ დააკისრებენ — წეს-კანონის შესაბამისად ეს თანხა მინიმუმ 3 300 ევრო იქნება — მატერაცისთვის კი მინიმალური სასჯელი ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია და 6 600 ევრო შეიძლება გამოდგეს.

საინტერესოა, რომ ზინედინ ზიდანის და მარკო მატერაცის საგამ საფეხბურთო სახელმწიფოთა საზღვრები გაანგრია და ისეთ ქვეყანაშიც კი მიიპყრო ხალხის ყურადღება, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც „სოკერი" სპორტის მთავარი სახეობა სულაც არ არის. მეტიც, ამერიკელი მიმომხილველები უკვე ამტკიცებენ, რომ ზინედინ ზიდანმა ფეხბურთს მათ ქვეყანაში რეიტინგი მნიშვნელოვნად აუწია.

სპორტისა და ჯანმრთელობის პრომოუშენის ამერიკული ინსტიტუტის პროფესორი პიტ მიჰლერტი: „მართალია, მომხდარი კითხვის ნიშნებს ბადებს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ზიდანის დიდებამ ამერიკაში პიკს მიაღწია".

„სან ხოსე მერკური ნიუზის" მესვეტე: „არ ვიცი ეს რამდენ ხანს გასტანს და არც ის ვიცი, რამდენად მოსწონს ეს ყველაფერი სოკერის ელიტას, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა ამერიკაში ამ სახეობის არნახული პოპულარობის მომენტი დგას და ეს სრულიად მოულოდნელად მოხდა".

„უოლ სტრიტ ჯორნალს" აინტერესებდა რა უთხრა მატერაციმ ზიდანს და კითხვა ამნაირად ჩამოაყალიბა: „რით განარისხა „მხეცმა" „ღმერთი"?

„ლოს ანჯელეს ტაიმსმა" კი ზიდანს „დაცემული გმირი" შეარქვა და დაწერა, რომ მან ლეგენდარული კარიერა მწარედ დაამთავრა.

პროფესორი მიჰლერტი: „ასეთი ინციდენტები ყოველთვის ხდება და წინასწარ არავინ იცის, როდის გატყდება ესა თუ ის სპორტსმენი".

ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტიდ": „ჩვენთვის, ამერიკელებისთვის, ჩხუბების გარჩევა სიახლე არ არის. ფაქტია, რომ როგორც შემგინებელმა ასევე დამრტყმელმა იცოდნენ, რომ მათ შორის ამტყდარი ამბავი პირადი არ იყო".

ცნობილია, რომ 9 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს 17 მილიონი ამერიკელი უყურებდა.

პაპუნა კედია

მუნჯი მარჩელო ლიპი და დაწინაურებული რონალდუ

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ გამოაცხადა, რომ კრიშტიანუ რონალდუ არსად წასულა და არც ვინმეს მონდომებია: ამიტომ კლავაც გუნდის ნამდვილ წევრად რჩება.

ეს არის, რომ ჭაბუკი პორტუგალიელი ალექს ფერგიუსონს გამოუტყდა, რომ ეშინია, არ მოკლან იმ საქციელის გამო, რაც პორტუგალიასთან რუნის გაძევებას უსწრებდა წინ და ასევე, იმის გამო, რომ გაიძახოდა „რეალში“ გადასვლა მინდაო.

კარლუშ კეირუში რონალდუს ყოველდღიურად ელაპარაკება და ამშვიდებს, ასეთი რამ ინგლისში არ ხდებაო.

ოთხშაბათს „მანჩესტერმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ რონალდუ არ იყიდება. კლუბმა ასევე უარყო ხმები გაბრიელ ჰაინცეს 10 მილიონ გირვანქად „ბარსელონაში“ და, მით უმეტეს, „რეალში“ გაშვების შესახებ.

ახლა გუნდი უკვე სამხრეთ აფრიკაშია და ახალი სეზონისთვის იქ ემზადება. „მანჩესტერს“ იმედი აქვს, რომ თავის სამხრეთაფრიკულ აკადემიაშიც იპოვის ნიჭიერ ბიჭებს.

ასე რომ, რუნი და რონალდო ერთად არიან.

[illegible]ობაში კი, ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რ[illegible]ფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი მარჩელო ლიპი, კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა „ოლდ ტრეფორდს“, სადაც მას მეგობარი ფერგი ელის. ლიპიმ ინგლისურის მასწავლებელი აიყვანა.

მარჩელოს შინაკაცს უთქვამს: „თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის პრემიერლიგაში იმუშავებს. თუმცა, მარჩელომ სიტყვაც კი არ იცის ინგლისურად. ამიტომ, ამ პრობლემის გადაჭრას ეცდება.“

ირაკლი გამყრელიძე

კინცმა ზიდანი არქივიდან ამოქექა



იოხენ კინცი

მუნდიალის ფინალში ზინედინ ზიდანის მიერ მარკო მატერაცის გულმკერდზე ნაჯიჯგვები თავურის ექო კარგა ხანს არ ჩაცხრება.

ესპანურმა „დიარიო დე იბიცამ“ იოხენ კინცი, „ჰამბურგის“ ექსმცველი გამოჩხრიკა, კაცი, რომელსაც ზიზუმ ექვსი წლის წინ ასევე თავური ჰკრა მოედანზე და უფრო მტკივნეულადაც — „სამიზნე“ კინცის თავ-პირი გახლდათ.

„მახსოვს, მწვრთნელმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში ზიდანის მეურვეობა დამავალა. მართალია, მოურიდებლად ვეთამაშებოდი, მაგრამ საფეხბურთო წესები არ დამირღვევია და რაც შემდეგ ფრანგმა გამიკეთა, ვერაფრით გავამართლებ“ — თქვა გერმანელმა მედიასთან.

ზიზუმ მაშინ კინცის დანოკაუტებისთვის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, 2000 წლის 24 ოქტომბრის „იუვენტუსი“ — „ჰამბურგი“ კი გერმანელ ფეხბურთელს ცუდად დაამახსოვრდა. „ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ზიდანს მაღალი ბურთისთვის ბრძოლა მოვუგე. წესები არ დამირღვევია, უბრალოდ, ნახტომის დროს შემთხვევით ზურგზე დავეჯახე მუხლებით. ფრანგი ამის შემდეგ გადამეკიდა და რამდენიმე ხანში თავი დამარტყა სახეში. გააძევეს, აბა, რა უნდა ექნათ“ — იხსენებს კინცი.

გერმანელი ძველ წყენას ვერ ივიწყებს. „6 წელი გავიდა, ზიდანს კი საბოდიშო სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. არადა, ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს... მაშინ უეფამ იგი დაინდო, მეტოქეზე თავურისთვის უფრო მკაცრად უნდა დაესაჯათ... დარწმუნებული ვარ, 2000-ში და ახლაც, მატერაცისთან, ზიდანობით გადარჩა. შედარებით ნაკლებ ცნობილი მოთამაშე რომ ყოფილიყო, მკაცრი სანქციების გარეშე არ დატოვებდნენ“ — დაიჩივლა იოხენ კინცმა.

ექსჰამბურგელი დღეს ესპანეთში, კუნძულ იბიცაზე, ბავშვთა გუნდს წვრთნის. „დღესაც ველოდები, რომ ზინედინ ზიდანი ჩემთან მოვა და ბოდიშს მომიხდის, თუმცა თავს არც მაშინ მოვიკლავ, თუ ეს სურვილი არ გაუჩნდება. ცუდია, როცა მსგავსი დონის ვარსკვლავი მოედანზე ქუჩის ბიჭივით იქცევა“ — ამბობს ზიზუს ყოფილი „მსხვერპლი“.

ლადო ხომერიკი

რკინის კვერცხები

მსოფლიოს ჩემპიონი მაურო კამორანეზი ახლა არგენტინაში იმყოფება. წარმოშობით პატაგონიელმა ფეხბურთელმა, იტალიის ნაკრებთან ერთად, მუნდიალის ოქრო მოიგო და დღეს დამსახურებული არდადეგებით ტკბება ბუენოს აირესში. იქ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები ბუზებივით ეხვევიან და ერთ-ერთ ინტერვიუში მაურომ ამაყად გაამხილა იტალიის გამარჯვების საიდუმლო. „დანარჩენ გუნდებს იმით ვაჯობეთ, რომ ერთი ადგილი რკინა-ფოლადის გვაქვს — განაცხადა მოურიდებელმა კამორანეზიმ და სხვათა დასანახად ლაჯებში ხელიც წაივლო — ჰოდა, „ჩვეულებრივმა“ მოწინააღმდეგეებმა ვერაფერი მოგვიხერხეს...“

თქმა არ უნდა, კამორანეზის შეეძლო, ეთქვა, სიტყვები: „თავგანწირვა“, „ბოლომდე ბრძოლა“, „მოედანზე ძვლების დატოვება“ და ასე შემდეგ, თუმცა ოკეანისგაღმა, მიყრუებულ ტანდილში დაბადებული, ერთი უბრალო ბიჭია და ასე, უბრალოდ, გამოხატა თავისი გულისნადები (ისე, არგენტინაში მამაც და თავზეხელაღებულ ხალხზე ალალად, მოურიდებლად ამბობს დიდიც და პატარაც, რკინის კვერცხები აქვსო).

კამორანეზიმ ბრაზილიაზეც ილაპარაკა: „ბრაზილიელები, წავების მიუხედავად, ერთი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენ გუნდებზე. არგენტინამ, გერმანიამ და ინგლისმა კი დაახლოებით ერთნაირი ფეხბურთი უჩვენეს.“

ლადო ხომერიკი

ფაბრეგასი

პაატარა სესკი დიდ ლონდონში

„არსენალის“ ამომავალ-ამოსული ვარსკვლავი სესკ ფაბრეგასი მადრიდის „რეალის“ ინტერესის მიუხედავად ლონდონიდან არსად მიდისო, თქვა ფეხბურთელის აგენტმა ხოსება დიასმა. მოგეხსენებათ, თინეიჯერმა ესპანელმა საგანგებო ყურადღება მას მერე მიიპყრო, რაც გასულ სეზონში „მეთოფეთა“ ძირითადი შემადგენლობისკენ გაიკვალა გზა. „არსენალში“ თამაშმა ფაბრეგასი ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელად აქცია, შედეგად კი „ბარსელონას“ აღზრდილს „რეალმა“ მიაკითხა.

„მადრიდიდან ძალიან კარგი წინადადება გვაქვს, მაგრამ სესკისა და „არსენალის“ ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა და ლონდონში ვრჩებით — თქვა აგენტმა — სესკი ბატონების, არსენ ვენგერისა და დევიდ დინის უზომოდ მადლობელია. ის აგრეთვე მადლობელია „არსენალის“ ფანებისაც და ყველაფერს აქ თამაში ურჩევნია, რაც, ვფიქრობ წლობით გაგრძელდება“.

როგორც ირკვევა, „არსენალიდან“ არც 17 წლის თეო უოლკოტი წავა სადმე. ეს ყმაწვილი ინგლისის ნაკრების შვედ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდა წაყვანილი და მართალია არ ათამაშა, დიდი რეკლამა გაუკეთა. ბოლო ხანს დაირხა ხმა, რომ უოლკოტი „ვესტ ბრომვიჩში“ იყიდებოდა, მაგრამ მისმა აგენტმა უორვიკ ჰორტონმა „დეილი ექსპრესს“ განუცხადა: „თეომ „არსენალში“ უზომოდ ბევრი ისწავლა და როდესაც გაიგო, რომ არც ტიერი ანრი მიდის სადმე, სიხარულით მეცხრე ცას ეწია. უოლკოტი ანრისთან ერთად ვარჯიშს ეთაყვანება და ერთი სული აქვს, როდის დაიწყებს ახალ სეზონს სწორედ მეთოფეების შემადგენლობაში, ახალ სტადიონზე.“

პაპუნა კედია

უოლკოტი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XII ტური

ვაასა 0:0 იარო

ტამპერე	10	8	1	1	17:7	25
ჰონკა	11	6	2	3	23:16	20
მარიეჰამნი	12	5	4	3	17:12	19
ჰაკა	11	5	3	3	11:7	18
ტურკუ	11	5	2	4	21:16	17
ჰიკ	11	4	3	4	12:11	15
მიუპა	11	4	3	4	11:10	15
ვაასა	10	3	3	4	11:12	12
ლაჰტი	11	3	3	5	8:15	12
ინტერი	8	3	2	3	8:7	11
იარო	10	3	2	5	13:13	11
კტპ	9	2	1	6	7:20	7
კუოპიო	11	1	3	7	7:20	6

ნორვეგია

ტიპელიგა. XII ტური

ლილესტრიომი 22 ოდ გრენლანდი

ბრანი	12	7	4	1	19:11	25
ლილესტრიომი	12	6	4	2	21:14	22
რუსენბორგი	12	4	6	2	17:13	18
ოდ გრენლანდი	12	3	7	2	16:13	16
ვოლერენგა	12	4	4	4	15:13	16
სტაბეკი	12	3	7	2	15:13	16
ჰამ კამი	12	4	3	5	18:14	15
ლინი	12	4	3	5	11:14	15
სანდეფიორდი	12	4	3	5	13:18	15
ვიკინგი	12	3	5	4	10:12	14
მიოლდე	12	4	2	6	13:17	14
ფრედრიკსტადი	12	3	4	5	16:22	13
სტარტი	12	2	6	4	10:14	12
ტრომსიო	12	2	4	6	11:17	10

ჰიონეს ფრანგული რისკი მოსწონს



მიუნხენის „ბაიერნი“ ფრანკ რიბერისთვის ბრძოლაში ჩაერთო. 23 წლის შემტევი ნახევარმცველით, რომელმაც მუნდიალზე ჩინებულად ითამაშა, „რეალი“, „არსენალი“, „ლიონი“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ არიან დაინტერესებულნი. რიბერი გასულ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

„ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი: „იგი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია, რომელიც, ალბათ, ნებისმიერ კლუბს გააძლიერებს. გასულ სეზონში „მარსელში“ დიდი პროგრესი ჰქონდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც კარგად ითამაშა“.

„მუნდიალზე კარგი თამაშით რიბერიმ მართლაც ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ჩინებული დრიბლიორია, რისკავს და არ ეშინია ორთაბრძოლების“ — აღნიშნა „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა.

შეგახსენებთ, რომ მიუნხენელებმა უკვე დაიმატეს „კიოლნიდან“ ლუკაშ პოდოლსკი და „მანჩესტერის“ ჰოლანდიელ ფორვარდ რუუდ ვან ნისტელროისაც უტრიალებდნენ. რაც შეეხება რიბერის, „მარსელი“ ისევ გაიძახის, იგი გუნდში რჩებაო. ამჯერად, კლუბის ერთ-ერთმა მმართველმა რობერ ლუიდრეიფუსმა თქვა, რიბერი ხელშეუხებელიაო. მას „მარსელთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, მაგრამ „ბაიერნი“ თავისას ეცდება.

ძოკი ანდელაძი

ელიზონდო: არ დამინახავს!

არგენტინელმა რეფერიმ ორასიო ელიზონდომ, რომელიც 2006 წლის მუნდიალის ფინალს მსაჯობდა, განაცხადა — იმ მომენტში, როცა ზინედინ ზიდანს წითელი ბარათი ვუჩვენე, საერთოდ, არ გამხსენებია, ფრანგი კარიერაში ბოლო მატჩს რომ ატარებდაო. ელიზონდოს თქმით, ასეთი დონის თამაშში არბიტრებს მობურთალთა ნომრებისა და ბარათების ფერის გარდა, არაფერი ახსოვთ.

ელიზონდოს, ზიდანისგან მატერაციზე თავდასხმა არ შეუნიშნავს და რადგანაც ინციდენტის ადგილიდან უკვე შორს იყო, ვერც მოჩხუბართა შორის გამართულ დიალოგს მოუსმენდა. „უკვე ფრანგების მოედნის ნახევარზე ვიყავი, როცა ძირს დაგდებული მატერაცი დავინახე და თამაში შევაჩერე“ — ამბობს არგენტინელი.

ელიზონდო სათადარიგო მსაჯს, ესპანელ მედინა კანტალეხოს მიენდო გადაწყვეტილების მიღებისას: „კანტალეხომ ზიდანის თავურის ამბავი ჩემს თანაშემწე დარიო გარსიას აცნობა, მან კი მე შემატყობინა“.

პატაგონიელმა მედიას კარიერის დასრულებაც ამცნო: „მე, როგორც მსაჯმა, ყველაფერს მივაღწიე. ახლა შემიძლია, მშვიდად წავიდე, კარიერის მაჟორულ ნოტაზე დასრულებაა საჭირო“ — თქვა ორასიო ელიზონდომ. არგენტინელმა გერმანია 2006-ზე 5, მათ შორის, გახსნითი და ფინალური, მატჩები განსაჯა.

ლადო ხომერიკი

არგენტინა რუსულად იმოძრავებს

მსოფლიოს ფეხბურთში რუსთა ფინანსური შემოსევა კვლავაც გრძელდება. რომან აბრამოვიჩი თუ „ჩელსის“ პატრონია, არგენტინის ნაკრების სპონსორი ამიერიდან ვიკტორ ვეკსელბერგი იქნება, „ტიუმენის სანავთობე კომპანიისა“ და ერთობლივ რუსულ-ამერიკული კომპანიას „რენოვას“ პრეზიდენტი.

ვეკსელბერგის სპონსორობაზე არგენტინელებმა იტალიაში მოაწერეს ხელი. ოკეანისგაღმელთა გუნდის გადაადგილებასა და კვებაზე ხარჯებს კომპანია „რენოვა“ გაიღებს. ასევე „რენოვას“ ეკუთვნის უფლება არგენტინის ნაკრების მატჩების ჩვენებაზე.

ნაციონალური გუნდის ყოველ ჩატარებულ მატჩში არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია რუსთაგან 750 ათას დოლარს მიიღებს.

ვიკტორ ვეკსელბერგი 1957 წლის 14 აპრილს ლვოვში დაიბადა და ახლა რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს მოქალაქედ ითვლება. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ლადო ხომერიკი



ვიკტორ ვეკსელბერგი

დელ ორნო გაღამურდა

ბასკი ასიერ დელ ორნო მალე „ვალენსიას“ ფეხბურთელი გახდება. გაზეთები, ესპანურიც და ინგლისურიც, ამტკიცებენ, რომ „ღამურებმა“ „ჩელსისთან“ შეთანხმებას მიაღწიეს და „სტემფორდ ბრიჯის“ მცველიც მომავალი ხუთი სეზონის განმავლობაში „მესტალიაზე“ იბურთავებს. დელ ორნო „ვალენსიამ“ საკარაუდოდ, ექვს მილიონ ევროდ იყიდა. ერთადერთი, რაზეც კლუბები ვერ შეთანხმებულან ისაა, რომ ხსენებულ 6 მილიონს კიკე სანჩეს ფლორესის გუნდი „ჩელსის“ რანაირად გადაუხდის - ინგლისელებს ერთბაშად უნდათ ფულის მიღება, ესპანელებს კი ნაწილ-ნაწილ სურთ გადახდა.

ახალი ტრანსფერი „ვალენსიას“ სპორტულმა დირექტორმა ამადეო კარბონიმ გაჩარხა. სამხრეთელი, „ჩელსის“ წარმომადგენელ პიტერ კინონს შეხვდა ლონდონში და დელ ორნოს საქმეც გადაწყვიტეს. აღსანიშნავია, რომ ბასკი უკანახაზელი თავის დროზე „ჩელსიმ“ 12 მილიონად შეიძინა. თავად დელ ორნოს ქამრის მჭიდროდ შემოჭერა მოუწევს — „მესტალიაზე“ ჩელსისნაირ ხელფასს (წელიწადში 2,5 მილიონი ევრო) არავინ გადაუხდის, მისი ჯამაგირი 1,8 მილიონი ევრო იქნება.

დელ ორნო „ვალენსიასთვის“ სეზონათაშორისში განხორციელებული მეორე ტრანსფერია. პირველი, ექსლივერპულელი მორიენტესი იყო. ამჟამად კიკე სანჩეს ფლორესის აგენტები „ბენფიკას“ სიმაო საბროსას და „იუვენტუსის“ მაურო კამორანეზის აკვირდებიან.

ლადო ხომერიკი

ტეიშეირა ვირის აბანოსთან

რიკარდუ ტეიშეირა

ბრაზილიური მედია იტყობინება, რომ გაჩნდა ეჭვი, თითქოს, მათი ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტს რიკარდუ ტეიშეირას გადასახადები აქვს დამალული და ამ საქმეს სამართალდამცველები იძიებენ.

თუ გადასახადების დამალვის ამბავი დამტკიცდება, სეუ ტეიშეირა, რომელიც შეგახსენებთ, ფიფას ყოფილი დიდი პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის სიძეა, შესაძლოა ათი წლით დააპატიმრონ.

საქმე 1988 წლიდან იღებს სათავეს და ეხება „ამერიკან ბანკის“ საშუალებით ნასესხებ 30 მილიონ დოლარს. ბანკს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ თავისი წილი გადაუხადა.

ასევე გადასახადისთვის თავის არიდების მოტივით იძიებენ კონფედერაციის სხვა ჩინოსნების, მათ შორის გენერალური მდივნის მარკო ანტონიო ტეიშეირას და ფინანსური დირექტორის ჟოზე სალიმის მოღვაწეობასაც. ამბობენ, რომ ეს ხალხი ფულს გადასახადებისგან, თავისუფალ კიმანის კუნძულებზე მდებარე შუალედური რგოლის საშუალებით რიცხავდა.

პაპუნა ძედია

დავიდ ტრეზეგე

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ლუკა ტონი

მორატი სამზე ფიქრობს

მესისგან ხუთ გუნდს გავაკეთებ

„ინტერმა“ განაცხადა, რომ ამ ზაფხულს სამიდან ერთს: ლუკა ტონის, ზლატან იბრაჰიმოვიჩს ან დავიდ ტრეზეგეს იყიდის. „ნეროაძური“ ბოლო კვირების განმავლობაში სამივე თავდამსხმელის წარმომადგენელს დაუკავშირდა და როგორც მისი მეპატრონე მასიმო მორატი ამბობს, სამივეგან დაინტერესება გამოიწვია.

„დიახ, იდეა ზუსტად ასეთია. გვინდა ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი ან ტონი შევიძინოთ — უთხრა მორატიმ „გაძეტა დელო სპორტს“ — ვნახოთ, როგორ განვითარება მოვლენები. ეს ფეხბურთელები ხომ „ფიორენტინასა“ და „იუვენტუსს“ ეკუთვნიან. გარდა ამისა, ბევრი რამ თავად ფეხბურთელების სურვილზე იქნება დამოკიდებული. გადაწყვეტილება ხომ მათ უნდა მიიღონ. ერთი სიტყვით, თავდამსხმელი გვჭირდება, ოღონდ ნასესხები და ნაქირავები კი არა, ჩვენი რომ გახდება, რომელსაც ვიყიდით, ისეთი. ველაზე მეტად შეიძლება ტონის ვარიანტი გამოვიდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული ჩვენს გუნდში ორი იუვენტუსელიდან ერთ-ერთიც აღმოჩნდეს“.

შეგახსენებთ, რომ „ინტერი“ ბრაზილიელი ადრიანოსთვის ეძებს ახალ პარტნიორს და როგორც თავად აღნიშნა, კალჩოპოლის სასამართლოს დამთავრებას ელოდება. ამბობენ, რომ ტონით „ნეროძურის“ გარდა მადრიდის „რეალიც“ არის დაინტერესებული.

გარდა ზემოთქმულისა მორატის ინტერვიუდან ის არის საინტერესო, რომ მან კატეგორიულად უარყო ხმები თითქოს არგენტინელები ლეო მესი ან კარლოს ტევესი აინტერესებდეს.

„მესი და ტევესი არ არიან ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს. იმ ფულად, რასაც მათგან თუნდაც მხოლოდ ერთის ყიდვაში მომთხოვენ, ხუთ გუნდს გავაკეთებ“.

პაპუნა კედია

თვითმკვლელობა

„სარბიელის“ მკითხველებმა იციან, რომ 9 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ბერლინში, გარეუბან რაინიკენდორფში, თავის სახლში ტყვია დაიხალა მუნდიალს საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფიგურამ, 65 წლის იურგენ კისლინგმა, რომელიც ხუთშაბათ საღამოს გარდაიცვალა.

იურგენ კისლინგს გერმანიაში „მისტერ მსოფლიოს თასს“ ეძახდნენ. ამ დღეებში გერმანული პრესა წერდა, რომ მან სიკვდილის წინ ორი წერილი დატოვა. ერთის ადრესატი მისი უმცროსი ქალიშვილი, ხოლო მეორის — დანარჩენი ოჯახი გახლდათ. ამბობენ აგრეთვე, რომ წერილებში საუბარია თვითმკვლელობის „პოლიტიკურ მოტივებზე“, თუმცა როგორც მისმა ვაჟმა განაცხადა, ეს მართალი არ არის, რადგან თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზი „პირადულია“.

გარდა იმისა, რომ ფიფასთან მსოფლიოს ჩემპიონატის ამბების კოორდინატორად მუშაობდა, ის იყო ბერლინის მთავრობაში სპორტის საკითხთა მმართველი. სწორედ მისი იდეა გახლდათ ბერლინის ცენტრში დიდი ეკრანების დადგმა და ფრიად წარმატებული „ქომაგთა მილის“ — მილი 1609 მეტრია — მოწყობა. საყოველთაო აღიარებით მსოფლიოს ჩემპიონატი საუცხოოდ იყო ორგანიზებული.

პაპუნა კედია

იურგენ კისლინგი

რეკლამა
სარბიელ-ში
38-11-14, 877 54 55 00

„ჩელსის“ რობერტო კარლოსისადმი ინტერესი არ განელებია. თავხოტორა ბრაზილიელის ყიდვას უფრო კლუბის მეპატრონე აბრამოვიჩი ესწრაფვის, ვიდრე მწვრთნელი მაურინიუ.

იმ შემთხვევაში, თუ 33 წლის მარცხენა მცველი ლონდონურ კლუბთან კონტრაქტზე ხელს მოაწერს, ეს ამ ზაფხულში „ჩელსის“ მეორე გახმაურებული ტრანსფერი იქნება ანდრეი შევჩენკოს შემდეგ. შეგახსენებთ, რომ „მილანის“ უკრაინელის გადაბირებაშიც რომან აბრამოვიჩმა ფრიად იაქტიურა.

ეტყობა, პატივცემული პრეზიდენტი, რომელიც ახლახან დასრულებულ მუნდიალზე მრავალ მატჩს დაესწრო, სულ უფრო და უფრო მთავარ როლებს ასრულებს „ჩელსის“ სატრანსფერო სპექტაკლებში. აბრამოვიჩს 2006-07-ის ჩემპიონთა ლიგის დაპყრობა და ინგლისის ჩემპიონობის შენარჩუნება სწადია და „სტემფორდ ბრიჯს“ სახელგანთქმული ვარსკვლავებით ამიტომაც ავსებს.

სავარაუდოდ, „ჩელსი“ რობერტოს სამწლიან კონტრაქტს და კვირაში 88 ათასი გირვანქა ანაზღაურება შესთავაზებს. ბრაზილიელსაც „რეალის“ უფროსობისთვის უთქვამს, თუ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე თქვენგან რაიმე სირთულეს ვნახავ, „სანტიაგო ბერნაბეუს“ დაუყოვნებლივ დავტოვებო.

აბრამოვიჩს კარლოსი თავისთვის უნდა

რობერტო კარლოსი ჟოზე მაურინიუს ფავორიტ მცველთა კატეგორიას არ მიეკუთვნება, მაგრამ პორტუგალიელი ბრაზილიელის მისამართით საქებარ სიტყვებს მაინც არ იშურებს. საინტერესოა, რომ ჟოზეც და რობერტოც ერთ საფეხბურთო აგენტთან, გამოცდილ ჟორჟე მენდეშთან თანამშრომლობენ.

„ჩელსი“ კარლოსის შეძენის შემთხვევაშიც შეეცდება, „არსენალიდან“ ეშლი კოული გადაიბიროს. „სტემფორდ ბრიჯზე“ იციან, ჭარმაგი ბრაზილიელი ყოველთვის რომ ვერ ითამაშებს და კოულიც ამიტომ სჭირდებათ. „არსენალი“ ეშლის საფასურად 16 მილიონ გირვანქას ითხოვს.

ლადო ხომერიკი

რონალდო წვივმა დაანვინა

რონალდო შაბათს რიოში მარცხენა ფეხის წვივზე იკეთებს ოპერაციას — ბრაზილიის ნაკრებისა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს, მოედანზე სწრაფად გადაადგილება უჭირს და ექიმებმა ურჩიეს, სატკივრის მოსაშორებლად ქირურგის დანისთვის მიემართა. ამის შესახებ მედიას ჟოზე ლუიშ რუნკუმ ამცნო, ბრაზილიის ნაკრების მთავარმა ექიმმა.



სეუ რუნკუ და მადრიდის „რეალის“ ექიმი ალფონსო დელ კორალი იზრუნებენ, რომ რონალდოს ოპერაციამ წარმატებით ჩაიაროს — ორივე გამოჩენილი ესკულაპი რიოს ჰოსპიტალში იქნება. ჯერჯერობით ექიმები არ ამბობენ, რამდენი ხნით ჩამოშორდება რონი ოპერაციის შედეგ ბურთს და მოედანს. „ამას დრო გვიჩვენებს“ — აცხადებს ალფონსო დელ კორალი.

ლადო ხომერიკი

ინგლისური „ნიუკასლის“ კაპიტანი ამიერიდან სკოტ პარკერი იქნება. შეგახსენებთ, რომ დიდმა ალან შირერმა კარიერა დაასრულა, ნიუკასლელთა მწვრთნელმა გლენ რიოდერმა კი სამკლავური 25 წლის პარკერს ანდო, რომელიც დღეს, „ლიდსტრიომთან“ ინტერტოტოს მატჩში გუნდს მოედანზე გაიყვანს. ვიცე-კაპიტნობა კი მეკარე შეი გივენს ერგო.

უნგრული „უიპეშტი“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. პოსტზე სულ სამი კვირის მისული, ბერტალან ბიშეკი, ხუთშაბათს უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიხტენშტაინურ „ვადუცთან“ სამარცხვინო ანგარიშით 0:4 წაგების მერე გადადგა. მატჩის დასრულებისთანავე „უიპეშტის“ ოთხიათასამდე ქომაგი მის დაუყოვნებლივ მოხსნას ითხოვდა. მათ გუნდი გამაყრუებელი სტვენით გააცილეს მინდვრიდან.

ფრანგულმა „სედანმა“ „ნანტისგან“ სტივენ ტიხოტი ინათხოვრა მომავალ ზაფხულის ბოლომდე, გამოსყიდვის პერსპექტივით. 19 წლის მცველამდე, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „სედანი“ 32 წლის თდავიდ ჰამედითაც გააძლიერა.

გერმანულ ბუნდესლიგაში დაბრუნებულმა „კოტბუსმა“ პეკინის „გუოანიდან“ ერთი წლით შაო ჯიაი ინათხოვრა. კოტბუსელებს ეს 1,2 მილიონი დოლარი დაუჯდათ და თუ 26 წლის ნახევარმცველი კარგად ითამაშებს, მას ბოლომდე გამოისყიდიან.

ესპანურმა „ხეტაფემ“ 19 წლის ურუგვაელი შემტევი ნახევარმცველი ხუან ალბინი დაიმატა. „ნასიონალის“ ყოფილ ფეხბურთელთან მაღრიდელებმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „ალბინი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სამხრეთამერიკელი მოთამაშეა. იგი ძალიან ტექნიკური და მრავალმხრივია“ — განაცხადა „ხეტაფეს“ სპორტულმა დირექტორმა სანტიაგო ლორენცომ.

ბრაზილიელი ნახევარმცველი ფრანსისკო ლიმა „ყატარიდან“ მოსკოვის „დინამოში“ გადავიდა. კონტრაქტი ხუთთვიანია გახანგრძლივების პერსპექტივით. შეგახსენებთ, რომ იტალიური „რომას“ ყოფილი ფეხბურთელი აქამდე რუსეთში უკვე თამაშობდა. 35 წლის ლიმა „ლოკომოტივში“ ირიცხებოდა.

ინგლისური პრემიერლიგის ისტორიაში პირველად აღზევებული „რედინგი“ ამ ზაფხულს მეორე ფეხბურთელით გაძლიერდა. კორეელი კი ჰეონ სეოლის მერე „მადეისკის“ ბინადრებმა ნიგერიელი მცველი სემ სოჯე დაიმატეს. მან „რედინგთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო აფრიკელის ყოფილმა კლუბმა „ბრენტფორდმა“ 350 ათასი გირვანქა მიიღო.

ვესტ ბრომვიჩმა რეკორდი იყიდა

შვეიცარიის ნაკრების ძირითადი მეკარე პასკალ ცუბერბიულერი, გასულ სეზონში პრემიერლიგიდან გავარდნილ „ვესტ ბრომვიჩში“ გადავიდა. 35 წლის ვეტერანი, რომელიც ბოლო წლებში „ბაზელში“ ირიცხებოდა და იქ კარგი თამაშით მუდამ ყურადღების ცენტრში იყო, ინგლისურ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. კონტრაქტი ორწლიანია, ხოლო ცუბერბიულერის ხელფასი უცნობი.

შეგახსენებთ, რომ გამოცდილმა მეკარემ გერმანიის მუნდიალზე რეკორდი დაამყარა. მან ექვსსაათნახევრის მანძილზე შეინახა კარი მშრალად და შვეიცარია იქცა ერთადერთ ნაკრებად მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, რომელიც ისე გავარდა, რომ გოლი არ გაუშვია. კობი კუნის შეგირდებმა 0:0 ითამაშეს ფრანგებთან, 2:0 მოუგეს ტოგოსა და კორეას, ხოლო მერვედფინალში უკრაინასთან მატჩი ასევე 0:0 დაასრულეს, მაგრამ პენალტებში დამარცხდნენ.

ცუბერბიულერი ევრო 2008-ზეც აპირებს თამაშს, რომელსაც მისი სამშობლო ავსტრიასთან ერთად უმასპინძლებს. „ვესტ ბრომვიჩს“ კი პრემიერლიგაში დაბრუნება სურს და ამისთვის ძლიერდება. ინგლისურმა კლუბმა რამდენიმე გუნდს უარი უთხრა თავისი უნგრელი ფორვარდის ზოლტან გერას მიყიდვაზე.

კოკი კანდელაკი

პასკალ ცუბერბიულერი

ლილიანი ბარსასთვის

„იუვენტუსის“ სერია B-ში დაქვეითებამ შეიძლება ლილიან ტურამის გაბარსელონელებას შეუწყოს ხელი — კატალონიური გრანდი ვეტერანი ფრანგის შეძენის მოსურნეა, 34 წლის ტურამი კი, ალბათ, კარიერის დასრულებას „კამპ ნოუზე“ უფრო მოინდომებს, ვიდრე დაბალ იტალიურ ლიგაში. „მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტურამი გვადალუპეში, თავის სახლში ისვენებს. ჯერჯერობით ტრანსფერებზე არ ვფიქრობთ, მისი მომავალი კლუბი სადღაც 15-20 დღეში გეცოდინებათ“ — განუცხადა კატალონიურ „ელ მუნდო დეპორტივოს“ ფრანგი მცველის წარმომადგენელმა ოსკარ ჯუზეპე დამიანიმ.

„ბარსას“ მესვეურებს ლილიან ტურამის „კამპ ნოუზე“ მიყვანა ორი სეზონით ჩაუფიქრებიათ. თავიდან პრეზიდენტ ლაპორტას ფავორიტი ასევე იუვენტუსელი ჯანლუკა ძამბროტა იყო, ოღონდ იტალიელზე „რეალი“ და „მილანი“ ნადირობენ და „ბარსამაც“ ყურადღება ტურამზე გადაიტანა.

ლადო ხომერიკი

ცოლი და ქვა

მას მერე რაც პეტერბურგის „ზენიტში“ გადასვლა იუარა, ბრაზილიელი ზე რობერტოს შეძენის მთავარი კანდიდატი ისევ ფრანგული „ბორდოა“. საქმე ის არის, რომ „ბაიერნის“ ვარსკვლავს გერმანიის ჩემპიონთან კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია ანუ შეუძლია სადაც მოეპრიანება იქ წავიდეს. ჰოდა, თავიდან მოეპრიანა კიდეც „ზენიტთან“ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ მეუღლემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მე რუსეთში ვერ ვიცხოვრებო.

„ბორდო“ 32 წლის ბრაზილიელის შეძენას აგერ უკვე ივნისის მერე ცდილობს. კლუბის პრეზიდენტმა ჟან ლუი ტრიომ ცოლქმარი ერთად დაპატიჟა საფრანგეთში და საკარაუდოდ გაკვაჭავს კიდეც საქმეს.

პაპუნა კედია

აბდულაიე მეიტე

აბდულაიეს ექიმი იტყვის

ინგლისური „ბოლტონი“ ორი ფეხბურთელის, აბდულაიე მეიტესა და კვინტონ ფორჩუნის შეძენასთან არის ახლოს.

ფრანგული „მარსელის“ კოტდივუარელმა მცველმა მეიტემ მუნდიალზე საკმაოდ კარგად ითამაშა და ბევრი კლუბის ყურადღება მიიპყრო. მათ შორის იყო გერმანული „შტუტგარტიც“, მაგრამ 25 წლის ფეხბურთელმა ბუნდესლიგებს უარი შეუთვალა.

ბრიტანული პრესის ცნობით, მეიტესთან მოლაპარაკება გადამწყვეტ ფაზაში შედის. მალე აფრიკელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, „რიბოკის“ ბინადართა რიგებში ჩაირიცხება. ამბობენ, „ბოლტონი“ მასში 2 მილიონ ევროს გადაიხდისო.

ფორჩუნი კი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წამოსვლის მერე ახალ კლუბებს ეძებს. მას შემდეგ, რაც სამხრეთაფრიკელს გლაზგოს „სელტიკმა“ კონტრაქტის გაფორმებაზე უარი უთხრა, იგი „ბოლტონთან“ ერთად ვარჯიშობს და გუნდის თავკაც სემ ალარდაისს მოაწონა კიდეც თავი. 29 წლის ნახევარმცველთან შეთანხმებას ალბათ უახლეს დღეებში მიაღწევენ.

„კვინტონი ჩვენი წამყვანი მოთამაშე გახდება. ვარჯიშებზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია. იმედია, მასთან კონტრაქტს მალე გავაფორმებთ და მჯერა, ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი გახდება“ — განაცხადა ალარდაისმა.

შეგახსენებთ, რომ „ბოლტონი“ ასევე ახლოს იყო ვეტერანი გერმანელი ნახევარმცველის დიტმარ ჰამანის დამატებასთან. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „ლივერპულის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა არჩია. ამის გამო „რიბოკის“ ბინადრები, რბილად რომ ვთქვათ, ჰამანზე გაბრაზდნენ და განაწყენდნენ, რაც მათ კომენტარებშიც აისახა.

გიორგი კაკაბაძე

კორადის მიდი-მოდი

იტალიელი თავდამსხმელი ბერნარდო კორადი „ვალენსიაში“ დაბრუნდა — ის ესპანურ გუნდს ერთი სეზონით „პარმაში“ ჰყავდა გაქირავებული. როგორც ირკვევა, პარმელებს იმედი ჰქონდათ, რომ კორადის კიდევ ერთი წლით დაიტოვებდნენ, მაგრამ „ვალენსიამ“ უარი შეუთვალა. ცნობილი არ არის, რად უნდათ „ვალენსიაში“ კორადი, ვინმეს უნდა მიყიდონ თუ უნდა ათამაშონ.

„კიევის“ ყოფილი თავდამსხმელი „ვალენსიაში“ 2004 წელს გადავიდა, ოღონდ მაშინ უკვე „ლაციოში“ თამაშობდა და ესპანეთშიც რომაელებმა გაყიდეს. „ვალენსიაში“ კორადიმ დიდად ვერ გაშალა ფრთები, სულ 21 შეხვედრაში შეუშვეს მოედანზე და, როგორც გითხარით, „პარმას“ მიაქირავეს, სადაც 36 მატჩში 10 გოლი შეაგდო.

პაპუნა კედია

სარბიელი ᲓᲘ ᲯᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		16 ივლისი						
18:00	9	ამკარი-ენერგია	2.15	2.90	3.30	1.23	1.30	1.54
18:00	10	როსტოვი-კრილია	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
18:00	11	სატურნი-ნალჩიკი	1.80	3.20	3.50	1.15	1.18	1.67
18:00	12	შინიკი-ლოკომოტივი	3.60	3.10	1.85	1.66	1.22	1.15
16:00	13	ტომსკი-სპარტაკი	3.00	2.90	2.20	1.47	1.26	1.25
		სლოვაკეთი						
		15 ივლისი						
22:00	15	ბ.ბისტრიცა-ჟილინა	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
22:00	16	დუბნიცა-ინტერი	1.80	3.30	3.65	1.16	1.20	1.73
22:00	19	სლოვანი-ტრენჩინი	1.70	3.40	4.10	1.13	1.20	1.85
		16 ივლისი						
22:00	17	კოშიცე-პეტრუალკა	2.35	3.10	2.65	1.33	1.24	1.42
22:00	18	რუჟომბეროკი-ტრნავა	1.70	3.40	4.10	1.13	1.20	1.85
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		16 ივლისი						
20:00	21	ოდ გრენლანდი-სტარტი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
20:00	22	რუსენბორგი-ფრედრიკსტადი	1.50	3.90	6.00	1.08	1.20	2.36
20:00	23	სანდეფიორდი-მოლდე	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
20:00	24	სტაბეკი-ჰამარი	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
22:00	25	ტრომსიო-ვოლერენგა	2.65	3.30	2.45	1.46	1.27	1.40
		17 ივლისი						
20:00	26	ბრანი-ვიკინგი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		16 ივლისი						
20:00	27	ბრინი-მოსი	1.65	3.70	4.20	1.14	1.18	1.96
20:00	28	ფოლო-ჰიოდი	1.75	3.70	3.65	1.18	1.18	1.83
20:00	29	ჰაუგესუნდი-ჰინენეოსი	2.05	3.40	3.10	1.27	1.23	1.62
20:00	30	კონგსვინგერი-ალესუნდი	2.90	3.30	2.20	1.54	1.25	1.32
20:00	31	მანგლერუდი-ლოვ ჰამი	2.20	3.50	2.70	1.35	1.21	1.52
20:00	32	პორს გრენლანდი-ტრომსდალენი	2.00	3.70	3.10	1.29	1.21	1.68
20:00	33	სტრომსგოდსეტი-სპარტა	1.35	4.50	7.50	1.03	1.14	2.81
20:00	34	ბოდიო გლიმტი-სოგნდალი	1.95	3.40	3.30	1.23	1.22	1.67
		შვედეთი. ალსვენსკა						
		15 ივლისი						
18:00	35	მალმიო-აიკ	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		16 ივლისი						
19:00	36	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
20:00	37	ჰალმსტადი-გიოტებორგი	2.35	3.30	2.75	1.37	1.26	1.50
		17 ივლისი						
21:00	38	ჰამარბი-იოსტერსი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
22:00	39	ჰელსინგბორგი-ჰეკენი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
		შვედეთი. სუპერეტა						
		15 ივლისი						
18:00	45	ლანდსკრონა-ლიუნგსკილე	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
18:00	46	სუნდსვალი-ფალკენბერგი	1.95	3.40	3.40	1.23	1.23	1.70
18:00	47	ვესბი-ქვიდინგი	1.55	3.70	4.70	1.09	1.16	2.07
		16 ივლისი						
19:00	48	ტრელებორგი-ნორჩიოპინგი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი						
		16 ივლისი						
20:00	53	ჰონკა-ინტერი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		ირლანდია						
		15 ივლისი						
18:00	54	კორკი-ბრეი	1.25	4.50	9.50	1.00	1.10	3.05
		16 ივლისი						
20:30	55	დერი-ლონგფორდი	1.50	3.50	5.70	1.04	1.18	2.16
21:00	58	დუბლინი-დროგედა	3.10	3.00	2.10	1.52	1.25	1.23
		აშშ						
		15 ივლისი						
23:45	62	ჩიკაგო-დალასი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
23:45	64	ვაშინგტონი-კოლამბუსი	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
23:45	65	კანზასი-ჰიუსტონი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
23:45	66	ჩივასი-ლოს ანჯელესი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
		ბრაზილია						
		15 ივლისი						
23:00	77	ბოტაფოგო-პონტე პრეტა	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
23:45	78	სან პაულუ-ფიგეირენსე	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
		16 ივლისი						
23:00	79	კრუზეირო-გოიასი	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
23:00	80	გრემიო-ფლუმინენსე	1.95	3.20	3.20	1.21	1.21	1.60
23:00	81	პალმეირასი-კორინთიანსი	2.55	3.20	2.30	1.41	1.20	1.33
23:00	82	სან კეტანო-სანტოსი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
23:45	84	ფორტალესა-სანტა კრუსი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
23:45	85	ჟუვენტუდი-ინტერნასიონალი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
23:45	86	პარანა-ატლეტიკო პრ	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		ჩილე						
		15 ივლისი						
23:45	276	უნ.კატოლიკა-უ.კონსეპსიონი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:45	277	უნ.ესპანიოლა-კოკიმბო	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
16 ივლისი								
23:00	278	მორნინგი-უონდერერსი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:30	279	რეინჯერსი-პალესტინო	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
23:45	280	კობრელოა-უაჩიპატო	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
23:45	281	კობრესალი-ანტოფაგასტა	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
23:45	282	ეევერტონი-პუერტო მონტი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
23:45	283	სერენა-აუდაქსი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
		ინტერტოტოს თასი						
		15 ივლისი						
18:00	136	კალმარი-ტვენტე	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
20:00	137	მაკაბი ფთ-ეთნიკოსი	1.35	4.00	6.50	1.00	1.11	2.47
20:00	138	ნიუკასლი-ლილესტრიომი	1.27	4.60	7.50	1.00	1.08	2.85
20:00	139	ოდენსე-ჰიბერნიანი	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
21:00	140	გრასჰოპერი-ვენტი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
21:00	141	რიდი-ტირასპოლი	1.35	3.90	7.00	1.00	1.13	2.50
22:45	142	ლარისა-კაისერი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
22:45	143	მარსელი-დნიპრო	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
23:00	144	ოსერი-ფარული	1.35	4.30	6.50	1.02	1.11	2.58
23:45	145	ვილიარეალი-მარიბორი	1.18	5.20	8.20	1.00	1.03	3.18
		16 ივლისი						
17:00	146	ჰერტა-მოსკოვი	1.40	3.90	6.10	1.03	1.13	2.37

გაიხსნა ᲯᲠᲝᲯᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲔᲑᲘ: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ანტონიო სილვესტრი და კახა გეწაძე

ფოტო ალექსანდრე ბერიძის

ვარსკვლავები უფასოდ სპორტის სასახლეში დოხტურიშვილიც იჭიდავებს

კახა გეწაძე: „კარტოზიას და ბალავაძის სახელობის ტურნირების ტრადიციებზე საუბარი ძალიან შორს წავიყვანს. დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ ეს შეჯიბრება მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. მერე მიზეზთა გამო შეწყდა და 10 წელი აღარ ჩატარებულა. შარშან განვაახლეთ და საკმაოდ კარგადაც, წლეულს კი გაცილებით უკეთესი იქნება. ყველანაირად ვეცდებით, ნელნელა ძველი სახელი დავუბრუნოთ. ბოლო ერთ წელიწადში პროგრესი აშკარაა, რაზეც თბილისში ჩამოსული მოჭიდავეების გვარ-სახელებიც მეტყველებს. შაბათ-კვირას სპორტის სასახლის ხალიჩაზე მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლენ. ამათ დაუმატეთ საქართველოს ნაკრების უძლიერესი მოჭიდავეები და მიხვდებით, რა ბრძოლებს ვნახავთ“.

ტურნირების კომისრად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ გერმანელი ანტონიო სილვესტრი მოავლინა. მის რეკომენდაციაზე იქნება დამოკიდებული, დართავენ თუ არა საქართველოს უფრო დიდი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობის უფლებას.

„ფილა თბილისური პირველობებით სერიოზულადაა დაინტერესებული — გვითხრა **ანტონიო სილვესტრიმ** — ქართველი მოჭიდავეების ძალა ყველას მოეხსენება. ისიც ვიცით, როგორ უყვართ თქვენს ქვეყანაში ჭიდაობა. დავალება მივიღე, ვნახო, როგორ პირობებში ჩაივლის მომავალი ტურნირები. იმედია, ის დადებითი ემოცია, რომელიც ჩამოსვლის მომენტიდან მომყვება, კვირის ბოლომდე არ განელდება. მაშინ, რეკომენდაციაში ჩავწერ, რომ საქართველო მზადაა კადეტებისა და ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატების სამასპინძლოდ“.

კომისარმა იქვე ერთი სიურპრიზიც გაამხილა. ფილას პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტის დავალებით, იგი ორ ქართველ მსაჯს — ჯუმბერ დავლიანიძეს და ედიშერ მაჩაიძეს ოქროს ორდენებს გადასცემს.

პრესკონფერენციაზე მყოფი აზერბაიჯანის, სომხეთისა და უზბეკეთის ნაკრებთა თავკაცებს პირველ რიგში შემადგენლობებზე დავეკითხეთ. ისეთი გვარები ჩამოთვალეს, ძნელად რომ წარმოვიდგენდით. პირველი სიურპრიზი — უზბეკეთის ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე დოხტურიშვილი. იგი სასტუმრო „სიმპათიის“ ფოიეში ჯერ კიდევ პრესკონფერენციის დაწყებამდე ვნახეთ. დოხტურას გარდა უზბეკებს კიდევ ერთი ქართველი, სიდნეის ოლიმპიადაზე ჩვენი ნაკრების სახელით ნაჭიდავები გენადი ჩხაიძე ჰყავთ ჩამოყვანილი. მათსავე გუნდშია 66 კილოგრამში მსოფლიოს ჩემპიონი დილშოდ არიფოვი.

სომხეთი სულაც სამი შემადგენლობითაა ჩამოსული. განსაკუთრებით ძლიერი ბიჭები მათაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჰყავთ. რომან ამოიანი (55კგ) და კარენ მნაცაკანიანი (66კგ) ევროპის ჩემპიონები არიან. ალბათ გახსოვთ, ამ უკანასკნელმა წლევანდელ ევროპრველობის ფინალში დავით ბედინაძეს მოუგო, მაგრამ მაშინ 60 კილოგრამში იჭიდავა, ახლა კი ერთი წონით მაღლა ცდის ბედს. აქვე სომხების მძიმეწონიანი ვარსკვლავი იური პატრიკიევიც ვახსენოთ, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

დღეს ხალიჩაზე ოთხი წონა გავა. 55, 66, 84 და +120 კილოგრამიანი მოჭიდავეები ბრძოლებს დილის ათი საათიდან დაიწყებენ. საღამოს ექვსი საათიდან ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოვლინდებიან. ხვალ კი 60, 74 და 96-კილოგრამიანები გაარკვევენ საუკეთესოებს.

პირველი ოთხეულები გუშინ აიწონნენ და კენჭისყრაც ჩატარდა. მოლოდინისამებრ, მასპინძლები გაფართოებული შემადგენლობით იჭიდავებენ. ნაკრების წევრებისა და კანდიდატებისთვის ბალავაძე-კარტოზიას სახელობის ტურნირებს დამატებითი დატვირთვაც აქვს. საუკეთესოები საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ გუნდში მოსახვედრად სერიოზულ გასაცხადს გააკეთებენ.

მოკლედ, შეგიძლიათ, უქმეები სპორტის სასახლეში გაატარო. ნამდვილად არ ინანებთ, თან დასწრება უფასოა.

ოთარ ბაღლაკელიძე

ქუთაისი ქალაქია მძლეოსნობის მასპინძელი

მარიამ ქევხიშვილი

ფოტო ალექსანდრე ბერიძის

საქართველოს მძლეოსანთა ჩემპიონატის ორგანიზატორები დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან აღარ იცოდნენ, სად ჩაეტარებინათ ეს შეჯიბრება. თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ისედაც ოღრო-ჩოღრო ბილიკები იყო, ახლა კი სტადიონის რემონტისა და რეკონსტრუქციის გამო ეს ვარიანტი თავიდანვე გამოირიცხა.

ჩემპიონატს მხსნელად ქუთაისის ცენტრალური სტადიონი მოევლინა, რომელიც შეჯიბრების მონაწილეებს სრულ მზადყოფნაში დახვდა.

როგორც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, მაია აზარაშვილმა გვითხრა, დღეისთვის ქუთაისის სტადიონი საქართველოში მძლეოსნობისთვის საუკეთესოა. ამასთანავე, სტადიონის დირექციამ, ქუთაისის მძლეოსნობის სპორტსკოლასთან ერთად, ყველაფერი იღონა ჩემპიონატის კარგი მასპინძლობისთვის.

რაც შეეხება თავად შეჯიბრებას, იგი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოვიდა. მასში მონაწილეობენ თბილისის, აჭარის, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ზუგდიდის, ოზურგეთის, მარტვილის, ვანის, გარდაბნის, დუშეთისა და თავად ქუთაისის გუნდები.

განსაკუთრებული ინტერესით ველოდით სარბიელზე ათენის ოლიმპიური თამაშების ჩვენი სამი მონაწილის, მარიამ ქევხიშვილის, იულია დუბინასა და დავით ილარინის გამოსვლას, მაგრამ შეჯიბრებაში მხოლოდ დუბინა ვიხილეთ.

საქმე ისაა, რომ როგორც გუშინწინ ვიუწყებოდით, ჩვენი თარჯმნრბენალი დავით ილარიანი ისრაელის ღია ჩემპიონატში დაშავდა და ახლა ტრავმას იშუშებს, მარიამ ქევხიშვილი კი ამერიკის ერთ-ერთ კოლეჯში სასწავლებლად მიემგზავრება და საშეჯიბროდ დრო აღარ დარჩა.

მაია აზარაშვილი ქევხიშილის ამ გადაწყვეტილებით გაბარებულია და ამბობს, იმ კოლეჯში ჩვენი ბირთვის მკვრელი ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტის მეთვალყურეობით მშვენიერ პირობებში ივარჯიშებს და იმედია, ამით მარიამის შედეგები მნიშვნელოვნად გაიზრდებაო.

რაც შეეხება იულია დუბინას, მისი გამოსვლაც მეტად სათუო იყო. დედამისის მძიმე ავადმყოფობის გამო. იულიამ მაინც მიიღო ჩემპიონატში მონაწილეობა და ამის კვალობაზე მაინც მაღალი შედეგი აჩვენა — 13,65 მ. ეს შედეგი სულ რაღაც ორიოდე სანტიმეტრით ჩამორჩება იმ სანორმატივო მოთხოვნას, რომელიც აგვისტოში გეტებორგში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვისაა დაწესებული.

ქუთაისურ შეჯიბრებაში კი ძირითადად მაინც ახალგაზრდა, გამოუცდელი სპორტსმენები მონაწილეობენ, რომელთა შორის იმედისმომცემი მძლეოსნებიც არიან. მათ შორისაა 14 წლის ქუთაისელი ნანა კაშია, რომელმაც გუშინ 100 მეტრზე რბენაში ყველას ავლო — 12,7.

ავთანდილ ჭყვიშელი

კოკაი ლიდერებს დაშორდა

გუშინ ლევან ცაგურიამ ექსკომუსური როხოსთან მესამე მარცხი იწვნია და ორი დღის წინანდელი ორქულიანი ბალანსი მთლიანად გაანიავა. ივლისის ბაშოს გასრულებამდე ცხრა ტურია და საბოლოო დადებითი ბალანსის, კატიკოსის შესასრულებლად კოკაის ხუთი ქულა სჭირდება.

ლიდერთა სიას კი მეექვსე ტურში კიდევ ერთი კაცი გამოაკლდა. რიგითი მაეგაშირა ტოჩინოხანა წაიქცა და მდევართა ამქარში გაწევრიანდა. წაუგებელი ორიღა დარჩა — იოკოძუნა ასასიორუ და ოძეკი ტოჩიაძუმა. თანამედროვეობის უდიდესმა სუმოისტმა „ზეციურ ფენიქსად“ წოდებული კიოკუტენხო დაამარცხა, ხოლო ტოჩიაძუმამ იშვიათი ტალანტის პატრონი, 20 წლის კომუსუბი კისენსატო დასცა.

წაუგებელ დუეტს კვალში ყველაზე ახლოს თითო წაგებიანი რვა მთაკაცი უდგას. ოძეკები: ხაკუხო, ტიოტაიკაი, იკაი, კაიო და რიგითი მაეგაშირები: ბალტი, ტოკიტენკუ, ტამანოსიმა, ტამაკასუგა და ტოჩინოხანა საკუთარ გამარჯვებებთან ერთად, ასასიორუ-ტოჩიაძუმას წაფორხილებაზე ლოცულობენ.

21 წლის ხაკუხოს კიდევ ერთი საფიქრალი აქვს. იგი გეიოკოძუნების რეალური კანდიდატია და საამისოდ თხუთმეტტურიან მარათონში სულ ცოტა, ცამეტი გამარჯვება სჭირდება. შეგახსენებთ, მონღოლმა ოძეკიმ ბაშო მარცხით დაიწყო და მას შემდეგ ხუთი ქულა მიყოლებით აიღო. მეხუთე ლუკმა დასავლეთის პირველი მაეგაშირა კოტოსიოგინკუ აღმოჩნდა.

ლიდერების მდევართა ჯგუფი უახლოეს დღეებში შეთხვევდება, მას შემდეგ, რაც მისი წევრები ერთმანეთის პირისპირ დადგებიან. კოკაის კი იმპერატორის თასის ფავორიტებში გარეკა უკვე ძალიან გაუჭირდება.

დღეს მეშვიდე ტურია. ჩვენებური გამორჩეულად პოპულარული რობოკოპ ტაკამისაკაზე დაეჭიდება და თუ ავადმყოფობა სპონსორების მიერ დაწესებულ სოციალურ ფსონს, კიონსოს ჩაივიბავს.

ოთარ ბაღლაკელიძე

იულია დუბინა

ფოტო ალექსანდრე ბერიძის

რომაული არდადეგები

ოქროს ბიჭები ცოტანი დაფრჩით



მესერეტ დეფარი

14 ივლისს ღამით რომის ოლიმპიური სტადიონი მძლეოსანთა ოქროს ლიგის მე-3 ეტაპს მასპინძლობს. ურიგო არც წინა ორი გამოვიდა, საინტერესო იყო ოსლოს და პარიზის ეტაპები და წინასწარი შეხედულებით, „რომაულ არდადაგებსაც“ დიდი სიამოვნებით უყურებს ხალხი, მთავარია, წვიმამ და ქარმა არ აურიონ.

ოქროს ლიგას მხოლოდ ოთხი მძლეოსანი შემორჩა, ვისაც მილიონიანი საპრიზოს მეტი წილისთვის დავა შეუძლიათ, ანუ მოუგიათ ოსლოშიც და პარიზშიც და თუ ოქროს ზოდების დაკბენა სურთ, შემდეგი ოთხიც უნდა მოიგონ. ოთხეული ორ-ორი ქალ-ვაჟისგან შედგება — 100-მეტროსანი ასაფა პაუელი და 400-მეტროსანი ჯერემი ვორინერი კაცთა ამქარს მეთაურობენ, ქალთა წინა რიგებში კი 400 მეტრზე მორბენალ სანია რიჩარდსსა და 5 კილომეტრის ოსტატ ტირუნეშ დიბაბას მოუღერებიათ კისრები.

რომაული პუბლიკის ყურადღებას ყველაზე მეტად მაინც „სამეფო“ სახეობის, 100 მეტრი სპრინტის დიდვარსკვლავი, მსოფლიოს რეკორდის თანამფლობელი ასაფა პაუელი მიიპყრობს. ისე კი, კარგი იქნებოდა, სარბენ ბილიკზე მის გვერდით მისი მსოფლიო რეკორდის თანამოზიარე ჯასტინ გეტლინი დაგველანდა, მაგრამ ეს უკანასკნელი კვლავაც გაურბის პაუელთან ერთად სირბილს და, სავარაუდოდ, არც რომში გამოჩნდება. სამძლეოსნო ტახტის ორი პრეტენდენტი, მსოფლიოს ორი უსწრაფესი ადამიანი კარგა ხანია, არ გაჯიბრებია ერთმანეთს.

პაუელი გადასარევ ფორმაშია, ორჯერ ნაჩვენებ სარეკორდო დროს, 9,77 წამს სულ ახლოს უტრიალებს და ამ დროის გაუმჯობესების და გეტლინის მშრალზე დატოვების აზრის გარდა თავში არაფერი უელავს. კარგა ხანია, ის რომში ვარჯიშობს, იქაურ ჰავას და გარემოს გაეჩვია და ამას წინათ ლოზანურ სუპერ გრან პრისაც გამოაკლო თავისი მარდი ფეხები. ისე კი ლოზანაში სხვაც ბევრი გამოჩენილი ჩავიდა და ტურნირიც ძაან საყურებელი გამოვიდა.

ვარსკვლავები არც რომში დაიზარებენ გარბენ-გამორბენას. ოქროს „ჯეკ პოტისთვის“ მორბენალი ზემოთ ჩამოთვლილი ოთხეულიც გარდა იქ იქნებიან მრავალნი: 5 000 მეტრზე ტირუნეშ დიბაბას სერიოზული კონკურენტი ჰყავს, მსოფლიოს რეკორდსმენი მესერეტ დეფარი. იქვეა კაცთა 5 კილომეტრის შავი პრინცი კენენისა ბეკელე, სიგრძეზე უჩაუქესი მხტომელი ირვინგ სალდანო, მერიონ ჯონსი და მის ამაოდ მდევარ ყოჩაღ ამერიკელ გოგონათა მთელი ფაბრიკა. მოკლედ, თუ თვალი ამ გემრიელი სახეობისთვის მიჩვეული გაქვთ და ამის ყურება დროის დაკარგვათ არ გიღირთ, უყურეთ და ისიამოვნეთ.

კოტე ყორღია

უცვეთი ქალი

მერლინ ოტი პეკინზე ფიქრობს

გასულთ მერლინ ოტი? ლეგენდარული იამაიკელი ძუ ავაზა ახლა სლოვენიის დროშით დარბის. დიახ, დარბის, მიუხედავად იმისა, რომ არც მეტი არც ნაკლები, 46 წლისაა. ცხადია, ისე ვერ დარბის, ორგანიზატორებმა მის გარეშე დიდი ტურნირები არ ჩაატარონ, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც საკუთარ ფეხებზე და სარბენ ბილიკებზე დგას და დიდი იმედი აქვს, რომ ევროპის ჩემპიონატზეც ირბენს, რომელსაც 6-13 აგვისტოს შვედური გეტებორგი მასპინძლობს.

ეს კიდევ არაფერი, სულ ვვარჯიშობ, რათა ორი წლის შემდეგ პეკინის ოლიმპიადისთვის ფორმაში ვიყოო — ამას წინათ ასეთი ამბიციური განცხადებაც გააკეთა. თუ პეკინშიც გაირბენს, მერლინ ოტისთვის ეს მე-8 (!) ოლიმპიადა იქნება. წინა შვიდზე მას 8 მედალი აქვს მოპოვებული. ასეა, ზოგი რამე არ ძველდება და არც ცვდება.

ამერიკული ვარდისფერი ოცნების განაცრისფერების და „დრიმ თიმის“ უძლეველობის მითის დამსხვრევის შემდეგ ამერიკული კალათბურთის მესვეურები, იცოცხლეთ, დაფაცურდნენ და ჟეშმარიტად ამერიკული ენთუზიაზმითა და გაქანებით შეუდგნენ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე ღირსების აღდგენისთვის მუშაობას. სამუშაო გეგმაც შეადგინეს და შავი და თეთრი, ვარსკვლავი თუ მუშა მოთამაშეთა შთამბეჭდავი სიაც ჩამოწერეს, მაგრამ...

ამერიკის ნაკრები თოვლივით დნება

ზოგი საქეიფოდაა, ზოგი უქეიფოდ

პოლ პირსი ალბათ გამოტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატს

თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მძლავრ ქვეყანაში შეუძლებლად არაფერი უჩანთ, რომ მონდომონ, თაკარა ზაფხულში თოვლს გააჩენენ და უზარმაზარი თოვლის პაპას გააკეთებენ, თავისი ჩიბუხით, სტაფილოთი, ვედრო-ქუდით და ცოცხით, მაგრამ მზე მათ მონდომებას არ დაგიდევთ. თავის წილ სხივებს მაინც დაუშენს და დააღნობს მას.

იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი თვე რჩება, ამერიკის ნაკრების სუპერშემადგენლობა კი კვირიდან კვირამდე ლღვება და იღვენთება. ნბა-ს კიდევ ორმა მძლავრმა ვარსკვლავმა თქვა უარი ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე გამოცხადებაზე. შეკრება 19 ივლისს ლას ვეგასში იწყება და უკვე დაზუსტებულია, რომ იქ არ იქნებიან „ბოსტონ სელტიქსის“ სუპერვარსკვლავი პოლ პირსი და კობი ბრაიანტის შემდეგ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მეორე ლიდერი ლამარ ოდომი. დიდი შანსია, რომ მათ ჩემპიონატიც გამოტოვონ — პირსი სწორედ აგვისტოში აპირებს იდაყვზე მცირე ოპერაციის გაკეთებას, ოდომს კი ოჯახური მიზეზების გამო არ სცხელა კალათბურთისთვის — რამდენიმე დღის წინ მას 6 თვის შვილი გარდაეცვალა და ნაკრების ხელმძღვანელობას გთავაზობენ სთხოვა.

ტრავმის გამო მანამდე გამოაკლდა ნაკრების სტუდენტური ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე, წლევანდელ დრაფტზე „ორლანდოს“ მიერ მე-11 ნომრად არჩეული ჯეიჯეი რედიკი, რომლის ადგილიც გაფართოებულ შემადგენლობაში „ჩიკაგო ბულზის“ ლიდერმა კირკ ჰაინრიხმა დაიკავა. კარგი შეცვლაა. ჰაინრიხი პლეი ოფში გამოცდილი რიგიანი გამთამაშებელია, მაგრამ ოდომს და პირსს მაინც გვარიანად მოისაკლისებს აშშ-ს ნაკრები. პირსმა გუშინწინ „ბოსტონთან“ 3-წლიანი და 60-მილიონიანი (!) კონტრაქტი გააფორმა და ამბობს, ოპერაციას კი ვიკეთებ, მაგრამ სეზონის დაწყებამდე ფორმაში აუცილებლად ჩავდგებიო. სეზონში ის 2006-07 წლების რეგულარულ ჩემპიონატს გულისხმობს, რომელიც შუა შემოდგომაზე იწყება. აი, აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატი კი ჩანს, მეორეხარისხოვან ტურნირად მიაჩნია.

ტრავმა და ოპერაცია, ასე თუ ისე, მაინც საპატიო მიზეზად ჩაითვლება, აშშ-ს ნაკრებს მანამდე გამოკლებულ ორ ვარსკვლავს კი სულ სხვა მიზეზები აქვთ - მაგალითად, „დეტროიტის“ ლიდერ ჩონსი ბილაფსის ცოლი აგვისტოში ბავშვს ელოდება, მილუოკელი ბომბარდირი მაიკლ რედი კი სწორედ მსოფლიო პირველობის ჟამს აპირებს ოჯახის შექმნას. ასეო, ისეო, თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ არაო... მოკლედ, ზოგი საქეიფოდაა და ზოგი უქეიფოდ.

ნაკრების თავკაც მაიკ კრაჟეევსკის მაინც ყინწად უჭირავს თავი — „სწორედ ამიტომ შევადგინეთ 23-კაციანი სია, რომ დანაკლისის შემთხვევაში ვარირების საშუალება გვქონოდა. ვინმემ რომ მითხრას, ცოლი მომყავსო ან საავადმყოფოდან დარეკოს, მატარებელს კატასტროფაში მოვყევიო, გუნდი მაინც განაგრძნობს მუშაობას და მზადებას.“

კოტე ყორღია


ბენ ვოლესი

ჩიკაგო მომავალს ჯინსებით ხვდება

ვაჭრობის სეზონის გამოცხადებიდან ორიოდ კვირაში ნბა-ს თავისუფალ აგენტთა ბაზრის დახლებზე ხელრიანი აღარავინ დარჩა. უკონტრაქტო მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა ძველ გუნდში დარჩენა არჩია, ზოგმაც ახალი მოძებნა, მაგრამ ბულიანობაში ზაფხულმა მაინც დიდი მიგრაციების გარეშე ჩაიარა.

წლეულს მხოლოდ ორმა სუპერმოთამაშემ შეიცვალა კლუბი — პრედრაგ სტოიაკოვიჩ მისისიპის დაბლა ჩაუყვა და „ცივი“ ინდიანადან ჯაზის და ნექსის ქალაქ ნიუ ორლეანში ჩასახლდა. 2000-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის, „დეტროიტის“ დაცვის ბურჯმა ბენ ვოლესმა დიდი ტბების პირას დარჩენა არჩია — დეტროიტიდან იქვე ჩიკაგოში გადაბარგდა.

ვოლესი ახლახან ჩავიდა ჩიკაგოში და „ბულზთან“ 60-მილიონიან კონტრაქტზე 4-წლიანი ერთგულების დამადასტურებელი ხელმოწერა აღბეჭდა. იქაურთა დახვედრითაც კმაყოფილი დარჩა, ოღონდ ცოტა ის გაუკვირდა, კლუბის ორი თავკაცი — გენერალური მენეჯერი ჯონ პაქსონი და მთავარი მწვრთნელი სკოტ სკაილზი ჯინსებში და მოღელილ ჰერანგებში რომ დაუხვდნენ. 80-90-იანი წლების ამ ორმა თეთრმა ვარსკვლავმა ეს ასე ახსნა — ჩვენ არავის ვზღუდავთ, გვინდა, რომ ბენმაც და ყველა სხვამაც აქ თავი ისე მყუდროდ იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლშიო. მოკლედ, ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი „ჩიკაგო ბულზშია“ და ეს ეჭნებ ამ გუნდის ძველი დიდების დაბრუნებასაც ნიშნავდეს.

ამ დღეებში მოხდა რამდენიმე „წვრილი“ გადასვლაც. „ფინიქს სანზის“ ფორვარდმა ტიმ ტომასმა „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ მიაშურა და ეს აღმავალი გუნდი მეტადაც მოაძლიერა.

კანადურ „ტორონტოს“ „მინესოტაში“ ვეტერანი მაიკ ჯეიმსი, გაექცა თუმც სოლიდურია შევსებაც — დრაფტზე პირველ ნომრად აყვანილ იტალიელ ანტონიო ბარნანის კვალად კლუბმა კიდევ ერთი ევროპელი შეიმატა. უფრო ზუსტად კი ამერიკელი ენტონი პარკერი, რომელიც 6 წელი ბებერ კონტინენტზე ეძებდა ბედნიერებას გაექცა, თელ ავივის „მაქაბიში“ იპოვა და ამ გუნდს წყვილად მოაგებინა ევროლიგა. „ტორონტო“ მას 3 წელიწადში 12 მილიონს გადაუხდის.

კანადელებმა „ფილადელფიიდან“ გადაიყვანეს ფრთა ჯონ სალმონსი და რაც მთავარია, კიდევ სამი წლით შეინარჩუნეს გუნდის ოლსტარელი ლიდერი კრის ბოში. ასე რომ, ეს გუნდი ალბათ პლეი ოფსაც შეუტკივს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP





AFP

ძველი, დიდებული ჯიმბო:

მათ ჩოგბურთი ახალ სიმაღლეზე აჰყავთ

როჯერ ფედერერი სულ უფრო და უფრო მაგონებს ბიორნ ბორგს. არა მარტო იმით, რომ წლიდან წლამდე დომინანტობს უიმბლდონზე, არამედ სპორტისადმი თავისი დამოკიდებულებით.

როცა მე ვთამაშობდი და ბორგთან დაპირისპირება მიწევდა, არასოდეს ვიცოდი, რას ფიქრობდა, რისი გაკეთება უნდოდა კორტზე — მოკლედ, მისი თამაშის გაშიფვრა შეუძლებელი იყო. უბრალოდ, ის თავის თამაშს აჩვენებდა, თამაშს, რომელმაც ის ლეგენდად აქცია.

ფედერერიც ზუსტად ასეთია, ყველაფერს სერიოზულად და ყურადღებით აკეთებს და არასოდეს აძლევს თავს მოშვების უფლებას. დაკვირდით მას თამაშის შემდეგ? ფინალგამოვლილმა თქვა, რომ მოწოდების დროს ხანდახან ენერვიულობდიო. მე კი ერთი კითხვა დამებადა — რა მოხდებოდა, ემოციის ნასახი მაინც რომ გამოეჩინა-მეთქი? როჯერი ყოველთვის ძალიან წყნარი და მობილიზებულია თამაშის დროსაც და დაჯილდოებისასაც.

რაფაელ ნადალი უიმბლდონზე ნაჩვენები თამაშით ძალიან კმაყოფილი უნდა იყოს, უფრო მეტიც, უნდა იამაყოს თავისი გამოსვლით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ, მეტად უკმაყოფილია შედეგით. ის კარგად ხედება, რომ არ იყო საკმარისად აგრესიული და აქტიური, რის გამოც ფედერერს მისცა თავისი რიტმის დაჭერის საშუალება.

უიმბლდონის ფინალის შემდეგ ყველა ფედერერ-ნადალის დაპირისპირებაზე საუბრობს და მის გაგრძელებას მოუთმენლად ელის. ამ ჯახს შარშანაც ვადევნებდით თვალს, მაგრამ მაშინ ეს მაინც უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან ესპანელი მხოლოდ გრუნტის მოთამაშედ მიიჩნეოდა — სპეციალისტთა აზრით, ნადალი სხვა საფარზე შვეიცარიელს ვერ გაუწევდა მეტოქეობას.

თუმც, აგერ ერთი კვირის წინ ესპანელმა ჯადობიჭმა ყველას დაანახვა, რომ ის არა მარტო „გრუნტის მეფეა“, არამედ ყველანაირ საფარზე და, მათ შორის, ფედერერის საყვალელ ბალახზეც კი შეუძლია ბრძოლა გაუმართოს თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცს.

სწორედ ამიტომაც უკვე ხმამაღლა საუბრობენ, რომ ფედერერი-ნადალი შეიძლება ჩოგბურთისა და, ზოგადად, სპორტის ერთ-ერთ საინტერესო და თვალსასაჩინო დაპირისპირებად იქცეს.

ამის ფონზე უინტერესო არ უნდა იყოს ყოფილი ჩოგბურთელების, აწ უკვე ლეგენდების და ამგვარ დაპირისპირებებში გამოვლილი ხალხის აზრი. დღეს ჯიმი კონორსის შეხედულებებს წარმოგიდგენთ — 8 სლემტურნირის მომგებისა და მრავლისმნახველი ამერიკელის აზრს, რომელმაც წარმატებებს ისეთ ხალხთან ჭიდილში მიაღწია, როგორებიც ბიორნ ბორგი, ჯონ მაკინროი თუ ივან ლენდლი იყვნენ.

მე მგონი, ის ხშირად დაუბრუნდება ფიქრებში ამ ფინალს და ყოველთვის გაკიცხავს საკუთარ თავს, რომ მეორე სეტის მოგებას ერთი გეიმიღა აშორებდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ამ პარტიის აღება. მან მშვენიერი მესამე სეტი ითამაშა, ტაი ბრეიკზე კი დიდებული იყო, მაგრამ მას მაინც მეოთხე პარტიაში გაფუჭებული სმეშები გაახსენდება.

ერთი უნდა ვთქვა — არასოდეს მიყვარდა პირველი სეტის 6:0 მოგება. ეს მეტოქეს, უბრალოდ, აცოფებს და ძალიან სახიფათო ხდება.

ნადალსაც ასე დაემართა, როცა მეორე-მესამე სეტში ფედერერს ძალიან გაურთულა ცხოვრება და ცოტა გამართლების შემთხვევაში კიდევ საკითხავია, ვინ მოიგებდა.

მე მეამყება ნადალის. ეს 20 წლის ყმაწვილი ქარიშხალივით შემოიჭრა თანამედროვე ჩოგბურთის სამყაროში, სადაც სპეციალიზაციაა გამეფებული — ან თიხნარის სპეციალისტი ხარ, ან ბალახისა, ანაც ჰარდის... ან კიდევ როჯერ ფედერერი ხარ. და ამ ერთი კაცისგან შემდგარ სიას ნადალიც მიემატა.

ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — ნადალი ხვდება, რომ ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი და ვფიქრობ, ისწავლის კიდეც. ის ყველაფერს სწრაფად ითვისებს, მაგრამ მთავარია, ძალიან არ იჩქაროს.

მას უნდოდა უიმბლდონის ფინალის მოგება და ელოდა კიდეც გამარჯვებას. არ დაუჯეროთ მის წინასამატჩო თუ ნამატჩევს გაკეთებულ განცხადებებს, რომ თითქოს აუტსაიდერი იყო. მას უნდოდა გამარჯვება და ძალიანაც დასწყდა გული, რომ ამის გაკეთება ვერ მოახერხა.

ფედერერმა უკვე დაიკავა თავისი ადგილი ისტორიაში. თუ ნადალს უნდა, რომ მას გვერდით ამოუდგეს, მაშინ შვეიცარიელს ყოველდღიურად, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად უნდა ეჯიბრებოდეს.

ფედერერი-ნადალი — ეს კლასიკური დაპირისპირების ნიშნებია. ეს დაპირისპირება კი ყველას სჭირდება — მთლიანად სპორტს, კონკრეტულად ჩოგბურთს და თვით ამ ჩოგბურთელებსაც.

მათ ჩოგბურთი ახალ დონეზე აჰყავთ და ამით მაყურებელიც იღებს სიამოვნებას. ამასთანავე, იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ენდი როდიკი, ივან ლიუბიჩიჩი ან კიდევ მარიო ანჩიჩი მოინდომებენ წინა პლანზე გამოსვლას და იტყვიან, "ამის ნაწილი მეც მინდა ვიყოო". ეს ყველასთვის კარგი იქნება.

კახა ლომაშვილი

ჩიხლაძის კრამშახობა დასრულდა

საქართველოს მეორე ჩოგნის, **ATP**-ის კლასიფიკაციაში 484-ე ადგილზე მყოფი ლადო ჩიხლაძის წარმატებული სვლა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებზე, ავსტრიელი კრამშახის თიხაზე მიმდინარე შეჯიბრის მეოთხედფინალში დასრულდა.

კრამშახამდე ორი კვირით ადრე ლადომ **ITF**-ის ერთი ტურნირი მოიგო. მერე ერთი კვირა შეისვენა და ავსტრიაშიც ორი წრე გაიარა, მაგრამ მეოთხედფინალში ვერაფერი მოუხერხა კორტის მასპინძელ ტომას შისლინგს და 5:7 2:6 დამარცხდა.

ეს შისლინგი 31 წლისაა და კარიერის საუკეთესო დრო ექვსი წლის უკან ედგა, როდესაც **ATP**-ის რეიტინგში 328-ე ადგილზე იმყოფებოდა. კრამშახამდე ვეტერან ავსტრიელს მიმდინარე სეზონში არსად უთამაშია, მაგრამ მშობლიურ თიხაზე შესანიშნავად ირჯება და ნახევარფინალს სეტისწაუგებლად უწია.

გია მუჯირი

კაცები
ნიუპორტი. აშშ. ბალახი.
საპრიზო 355 000 $

მეორე წრე

ალეძს ბოგდანოვიჩი (ბრიტანეთი) — **გეორგ ბასტლი** (შვეიცარია) 6:1, 7:6; **ჯასტინ გიმელსტობი** (8, აშშ) — **უეინ არტურსი** (ავსტრალია) 6:3, 7:6; **ქრისტიან პლესი** (დანია) — **პოლ კაპდევილია** (ჩილე) 6:4, 4:6, 6:4

კაცები
გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი
საპრიზო 421 250 €

მეორე წრე

რიშარ გასკე (7, საფრანგეთი) — **რობინ ვიკი** (ჩეხეთი) 6:1, 6:1, **გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — **კრისტოფერ როხუსი** (ბელგია) 6:0, 6:4; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **მაქს მირნი** (8, ბელორუსია) 6:2, 6:4

კაცები
ბასტადი. შვედეთი. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

მეორე წრე

ტომი რობრედო (2, ესპანეთი) — **ალექსანდერ ვასკე** (გერმანია) 6:3, 6:1; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — **ლუის ჰორნა** (პერუ) 6:2, 6:3; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) 6:3, 6:1; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) 6:3 6:4

ტომი რობრედოს მასტერ-კლასი

წვიმიანმა ამინდმა არც ამჯერად დააცადა ჩოგბურთელებს ხეირიანად თამაში — ბუნებამ კვლავ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ტურნირების სათამაშო გრაფიკში. თუმც შვედურ ბასტადში ჩოგბურთელები ადრიდანვე შეესივნენ კორტებს და მოასწრეს მეორე წრის შეხვედრების მოლევა.

ჰოდა, ბასტადის მოვლენებითვე დავიწყოთ. ტომი რობრედომ ალექსანდერ ვასკეს 72-წუთიანი მასტერ-კლასი ჩაუტარა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თიხნარი დიდწილად მაინც ესპანელთა საბატონოა.

რობრედოს მეოთხედფინალში 18 წლის რუსი ევგენი კოროლიოვი ელოდება, რომელმაც კარიერაში მეორედ უწია ამ სიმაღლემდე — ამის გაკეთება რუსმა პირველად თებერვალში, მარსელში შეძლო.

აშკარად, მშობლიური კედლები თუ მიეხმარნენ რობინ სოდერლინგს, თორემ დავიდ ფერერთან ყველა გაგებით უნდა წაეგო. თიხნარზე თამაშის ფაქტს თავი რომ დავანებოთ, ესპანელი შვედზე ისედაც მაღალი კლასის მოთამაშეა და წესით, ეს ბარიერი იოლადაც უნდა გაევლო, მაგრამ გუშინ, თუ რობრედოსგან მაღალი კლასის ჩოგბურთი ვიხილეთ, ფერერმა ასევე თითით საჩვენებელი თამაში აჩვენა, მაგრამ უარყოფითი კუთხით, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ასე თამაში არ შეიძლება“.

შვეიცარიულ გშტაადში კი რიშარ გასკე აღარ ხუმრობს და კორტზე დაფრინავს. მას ერთი საათიც კი არ დასჭირვებია, რობინ ვიკის დასამარცხებლად, მოკლედ, ფრანგი აშკარად საუკეთესო ფორმაშია.

მით უმეტეს საინტერესო უნდა გამოდგეს მისი მეოთხედფინალური მატჩი ტურნირის შარშდელ გამარჯვებულ გასტონ გაუდიოსთან, რომელსაც, თავის მხრივ არ გასჭირვებია კრისტოფერ როხუსის ბარიერის გავლა.

არგენტინელმა თავიდანვე არ ისურვა საქმის შორს გადადება და ზედიზედ რვა გეიმი აიღო. მერე ერთ ხანს როხუსმა თითქოს გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მხოლოდ თითქოს — გაუდიომ კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და გასკესთან პაემანიც გაიფორმა. ანდრეი პაველმა კი ადგილობრივთა ფავორიტ სტანისლას ვავრინკას გაგდება არ იკმარა და მის კვალს ბელორუსი „მხეცი“ — მაქს მირნიც გაუყოლა.

კახა ლომაშვილი

93-ე ტურ დე ფრანსი 2006, 1-23 ივლისი

იაროსლავი დიდებული იყო



AFP კარკასონიდან

იაროსლავ პოპოვიჩმა კარკასონეში ყველას მიასწრო

ამერიკული „დისქავერის“ უკრაინელმა მრბოლმა იაროსლავ პოპოვიჩმა ბრწყინვალე სტილში მოიგო „ტურ დე ფრანსის“ მე-12 ეტაპი, საერთო ჩათვლაში მე-10 ადგილზე აინაცვლა და ამით ერთი პრობლემა გადაჭრა — წყალი აღარ გაუვა, გუშინდლიდან და მიმდინარე „ტურის“ ბოლომდე, სწორედ პოპოვიჩი იქნება „დისქავერის“ ლიდერი და მართალია, ამ ამერიკული გუნდის ბოსები ამბობდნენ, დიადი ლენს არმსტრონგის მემკვიდრე ამერიკელივე ჯორჯ ჰინკეპი იქნებაო, მაგრამ ახლა იანკური გუნდის წევრებს პოპოვიჩზე მოუწევთ მუშაობა — ჰინკეპი აშკარად ვერ არის ჯანზე, ვერც არმსტრონგის ნაცადმა გრეგარიმ, პორტუგალიელმა ჟოზე აზევედომ ივარგა და „ჯირო დიტალიას“ ორგზის მომგები იტალიელი პაოლო სავოლდელიც უიმედოდ ჩამორჩა.

პოპოვიჩი კი გუშინ მართლაც შეუდარებელი იყო. უკრაინელმა მშვენივრად ისარგებლა იმით, რომ ურთულესი პირინეიული უღელტეხილების შემდეგ პელეტონი, ერთგვარად აპათიური იყო და თავიდანვე მძლავრად შეუტია. იქიდან გამომდინარე, რომ „დისქავერის“ მრბოლი საერთო ჩათვლაში თითქმის 9 წუთს აგებდა, იაროსლავის შეტევას ლიდერებმა განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციეს და უკრაინელმაც ბრწყინვალედ ისარგებლა ამით — ლუჩონიდან კარკასონემდე არცთუ გაჭიმულ, საკმაოდ ტეხილ, მაგრამ არაციცაბო აღმართებიან 211,5 კილომეტრზე, რომელზეც ერთი-მეორე და სამიც მეოთხე კატეგორიის სირთულის მთა იყო, ეგრეევე შეუბერა, თანამგზავრ-კონკურენტები გზადაგზა ჩამოიცილა და საბოლოო ჯამში ყვითელ მაისურიაან ამერიკელ ფლოიდ ლენდისთან ჩამორჩენა გაანახევრა — პოპოვიჩი 4 წუთსა და 15 წამსღა აგებს შვეიცარიული „ფონაკის“ ლიდერთან და ვინ იცის, იქნებ ალპებში „დისქავერის“ ხალხმა ამ ჩამორჩენის გაბათილებაც შეაძლებინოს თავის ახალ ყოჩს.

პოპოვიჩის შემდეგ, დაახლოებით ნახევარწუთიან ინტერვალში ფინიშს კიდევ სამმა მრბოლმა უწია და რაც ყველაზე საინტერესოა, ამ სამეულში იყო სპრინტერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და წლევანდელ „ტურზე“ ორი ეტაპის მომგები ესპანელი ოსკარ ფრეირე. ძირითადმა ჯგუფმა კი საერთო ჩათვლის ლიდერებიანად, ფინიშს პოპოვიჩთან 4 წუთისა და 25 წამის ჩამორჩენით უწია და ყვითელი მაისურა, როგორც ვთქვით, კვლავაც ფლოიდ ლენდისს დარჩა. არადა ლენდისი, თურმე, ფრანგულ აღმართ-დაღმართებთან ერთად თეძოს არეში ტკივილსაც ებრძვის და როგორც კი „ტური“ ჩამთავრდება, ოპერაციის გაკეთებას აპირებს.

„ტკივილი საკმაოდ მაწუხებს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ბოლომდე, პარიზამდე მივაღწევ — განაცხადა ამერიკელმა და დაამატა — სხვა თუ არაფერი, იმისთვის არ ჩამიცვია ყვითელი მაისურა, ორიოდ დღეში რომ გავიხადო. ჩემი მიზანი „ტურის“ მოგებაა და ამ მიზნის მისაღწევად ნებისმიერ ტკივილს მოვითმენ“.

მეთორმეტე ეტაპი. ლუჩონი-კარკასონე. 211,5 კმ.

1. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი)	4სთ.34წთ.58წმ
2. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამბრე)	+27წმ
3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი)	+29წმ
4. კრისტოფ ლე მეული (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი)	+35წმ
5. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	+46წთ.25წმ

საერთო ჩათვლა

1. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	53სთ.57წთ.30წმ
2. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	+8წმ
3. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	+15წთ.16წმ
4. კედელ ევანსი (ავსტრალია, სონი დიუვალი)	+16წთ.17წმ
5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+15წთ.52წმ

ჩემპიონატი ფორმულა 1 საფრანგეთის დიდი პრიზი

მანი კური

ნეკერი, 16 ივლისი



ტრასის სიგრძე ---------- 4.411 კმ
რბოლის დისტანცია ---------- 70 წრე — 308.586 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე

შარშან: 1 ალონსო (რენო); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 მ.შუმახერი (ფერარი); 4 ბატონი (BAR); 5 ტრული (ტოიოტა); 6 ფიზიკელა (რენო); 7 რ.შუმახერი (ტოიოტა); 8 ვილნევი (ზაუბერი)

წრის რეკორდი: 2004 — მ. შუმახერი (ფერარი) 1.15,4 (210,7კმ/სთ)

AFP

ფერნანდო ალონსო: დარწმუნებული ვარ, უპირატესობის გაზრდას შევძლებ

ინტრიგის პარამეტრი 19 ქულაა

წინა, ამერიკულ ეტაპზე უპრობლემო გამარჯვებით მიხაელ შუმახერმა ექვსი ქულით შეამცირა ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოსთან ჩამორჩენა და საგვირგვინო ბრძოლას ნაწილობრივ დაუბრუნა ინტრიგა. თუმც ნანდოს საღღეისო, 19-ქულიანი უპირატესობა მაინც ძალიან სოლიდურია. მისთვის საფრთხის ნიშანი უნდა გახდეს არა იმდენად მეხუთე ადგილი ინდიანაპოლისში ფინიშზე, რამდენადაც უზარმაზარი, ნახევარწუთიანი წაგება „წითელ ბარონთან“.

მაგრამ ხვალინდელ რბოლის წინ ალონსოც და მისი გუნდიც მოგების იმედით არიან — მანი კური „რენოს“ მშობლიური ტრასაა, თანაც ძრავის ახალი ვერსია გვექნება, რომელიც წინაზე თითქმის 20 ცხენის ძალით უფრო ღონიერიაო.

ალონსო: „ინდიანაპოლისის წინ ზედიზედ ოთხი ეტაპი მოვიგე, თუმც ჟურნალისტებს განვუცხადე, რომ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. მაშინვე პესიმიზმში დამადანაშაულეს, აშშ-ში რბოლის შემდეგ კი ყველამ მოულოდნელად გადაწყვიტა, რომ უპირატესობა უკვე „ფერარის“ ექნება. არც 25 ქულა ამერიკამდე და არც 19 მას შემდეგ ტიტულის გარანტიას არ იძლევა. წლეულს ათიდან ცხრა რბოლაში ფინიშთან პირველი ან მეორე ვიყავი, რაც ოპტიმიზმს მმატებს. დარწმუნებული ვარ, უპირატესობის გაზრდას შევძლებთ.“

მიხაელს განწყობა კი გამოუკეთდა, თუმც ფრთხილობს: „საჩემპიონო ბრძოლაში გადამწყვეტი, ვფიქრობ, საბურავები გახდება. ჩვენ მშვენიერი მანქანა გვყავს და თუ რეზინა კარგად მუშაობს, ჩვენც ასევე გამოვიყურებით. ინდიანაპოლისში „ფერარის“ უპირატესობა უზარმაზარი იყო და ძალთა რეალურ შეფარდებას არ ასახავს. ასე რომ, ისეთივე სიტუაციის გამეორება რთული იქნება, მაგრამ მაიმედებს ის, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ, გავძლიერდით და ჩამორჩენის შემცირება მოვახერხეთ.“

„სამეფო რბოლებიდან“ ამერიკულ „ნასკარში“ მოულოდნელად გადაბარგებულ ხუან-პაბლო მონტოიას „მაკლარენ-მერსედესში“ 35 წლის პედრო დე ლა როსა შეცვლის. ესპანელმა პილოტმა ფორმულა 1-ში სამი სრული სეზონი კი ჩაატარა, მაგრამ უხეიროდ — 63 რბოლაში ერთხელაც ვერ მოახერხა პოდიუმზე შედგომა და სულ რაღაც ათ ქულას მოუყარა თავი. მეოთხე წელია, რაც პედრო „მაკების“ საოადრიგო მძღოლია და ამ ხანში მხოლოდ ერთხელ მოუწია გაჯირითება, როცა შარშან ბაჰრეინის დიდ პრიზზე სწორედ მონტოია შეცვალა და მეხუთე ადგილი დაიკავა.

ღღევანდელებიდან საფრანგეთში შვიდჯერ გაიმარჯვა მიხაელ შუმახერმა, თითოჯერ მისმა უმცროსმა ძმამ — რალფმა, ალონსომ და დევიდ კულჰარდმა.

გია ახალაძე

ალაშის ფრენბურთი

მონ-რეალური გეორ-გია

გეორ-გიად წოდებულმა ჩვენმა ბრაზილიელებმა რენატომ და ჟორჟომ კარგა ბარაქიანად შეუბერეს მონრეალში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, თავიანთი რეალური ძალა დაგვანახვეს და პირველი მარცხის მერე, რომ გვაფიქრებინეს, ეგ არის და ამათი კანადური პლაჟურთაობა მალევე დამთავრდებაო, მიჯრით სამი თამაში მოიგეს, მათგან ორი მასპინძელ წყვილებთან.

პირველ წრეში მე-17 ნომრად განთესილმა გეორ-გიამ 14:21 18:21 წააგო კლემენს დოპლერისა და პეტერ გეტმაიერის ავსტრიულ წყვილთან, რომელიც მე-16 ნომრად იყო განთესილი. აი, ამის შემდეგ ქართულ-ბრაზილიურმა დუეტმა აიწყვიტა: რენატომ და ჟორჟომ ჯერ ასპარეზობის 32-ე, ჯონ შილდისა და ჯორჯ ლაუბიჩიჩის კანადურ წყვილს მოუგო — 21:15 21:17, მერე მე-15 ნომრად განთესილი ბერძნები მიხალოპულოსი და ხენაკისი 21:9 21:15 დაამცრო და ამათ მერე ისევ კანადალების — ჰისისა და ვან ჰუიზენის მე-9 ნომრად მიჩნეულ დუეტს ასევე ორ პარტიაში 21:18 21:16 მოუღო ბოლო.

წუხელ გვიან ღამით, ჩვენი დროით უკვე გამთენიისკენ, გეორ და გია მე-4 ნომრად განთესილ თავიანთ ბრაზილიელ თანამოძმეებს ჰარლეისა და ბენჟამინს შეხვდებოდნენ და გამარჯვების შემთხვევაში მეოთხედფინალში გავიდოდნენ.

კრივი

პირველი გამარჯვება ქარელიშვილისაა

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო და 24 ივლისამდე გასტანს. საქართველოს ნაკრები მასზე ათი კაცით გამოვა. ერთადერთი წონა, რომელშიც მონაწილე არ გვყოლება, 64 კილოგრამია. გუშინ რინგზე 51, 57, 64, 75 და 91-კილოგრამიანი მოკრივეები ავიდნენ და პირველი წრის შეხვედრები ჩაატარეს.

ჩვენებურთაგან მხოლოდ რევაზ ქარელიშვილმა (75კგ) მოირგო ხელთათმანები და მომდევნო ეტაპიც გაინაღდა. ჩემპიონატის მიმომხილველი ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ქართველმა რუმინელ გავრილ რონალდთან მძიმე ბრძოლაში იმარჯვა. იქვე ანგარიშიცაა მითითებული — 32:32, თუმც მსაჯებმა გამარჯვება ქარელიშვილს მიაკუთვნეს.

AFP

მთებში

AFP

ეს 93-ე ტურ დე ფრანსია. მეთერთმეტე ეტაპი გრძელი და მთიანი იყო: ტარბიდან ვალ დერანამდე. მზირი კი თავად ტურზე ნაკლები არაფრით ჩანს. „დისქავერის“ გუნდის უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩი კი ავტოგრაფებს ვერ აუდის და ამით გვარიანად კმაყოფილი ჩანს.



AFP

ლულა სპორტში

ბრაზილიის პრეზიდენტი იუის ინასიო ლულა და სილვა და მისი მეუღლე მარიშა ლეტიცია ბრაზილიის მიერ ახალი პანამერიკული თამაშების მასპინძლობას ესალმებიან. თამაშები გაისად გაიმართება და მათი სიმბოლო ეს მხიარული მზე იქნება. მანამდე ლულას ფეხბურთელთა ხელმონერებით დამშვენებული მაისურა გადასცა იქაური ფეხბურთის თავკაცმა რიკარდუ ტეიშეირამ, რომელიც ახლა გადასახადების დამალვის მორიგ სკანდალშია გახვეული.

AFP

გმირი საავადმყოფოში

ფილიპინების სიამაყე, კრივის ჩემპიონი და პრეზიდენტ გლორია არაოიოსგან „ლაკანდულას ორდენით“ დაჯილდოებული, ქვეყნის „მარადი ჩემპიონის“ ტიტულის მქონე მენი პაკიაო მოულოდნელად ავად შექნილა. მოკრივე ფარული სისხლდენით გაუქანებიათ ჰოსპიტალში. ეს ფოტო კი შარშანდელი საპრეზიდენტო დაჯილდოებისაა.

AFP

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტალისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00